

ნონოს პანოპოლისელი და მისი დიონისიაკა

ბიზანტიური მწერლობის პირველი პერიოდის ეპიკოსი პოეტებიდან ყველაზე ცნობილი ნონოს პანოპოლისელია, რომლის ცხოვრების შესახებაც ფაქტობრივად თითქმის არაფერი ვიცით. მისი სახელით ჩვენამდე იოვანეს სახარების დაქტილური ჰექსამეტრით გალექსილმა პარაფრაზამ და ვრცელმა პოემამ „საქმენი დიონისესი“ („დიონისიაკა“) მოაღწია. მათი ავტორის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „დიონისიაკას“ ერთ-ერთ ხელნაწერს, რომელიც „ბერლინის პაპირუსის“ სახელწოდებითაა ცნობილი¹ და პოემის მე-14 სიმღერის დასასრულსა და მე-15 სიმღერის დასაწყისს შეიცავს, სახელდობრ, აქ ვკითხულობთ: „დასასრული მე-14 სიმღერისა „დიონისიაკასი“, **პანოპოლისელი პოეტის ნონოსისა**“ და: „დასაწყისი **პოეტ ნონოსის „დიონისიაკას“ მე-15 სიმღერისა**“.

პანოპოლისი ელინური სახელწოდებაა კოპტური ქალაქის ხემისისა, რომელიც ჩრდილოეთ თებაიდაში მდებარეობდა და დღეს ახმომი ეწოდება. იგი იყო წმინდა ქალაქი ეგვიპტური ღმერთის მინისა, რომელსაც ბერძნულ პანთეონში პანი შეესაბამება. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პანოპოლისის მკვიდრ ნონოსს, შესაძლებელია, ცხოვრების ნაწილი ალექსანდრიაშიც გაეტარებინა. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა „დიონისიაკას“ პირველი სიმღერის მე-13 ტაეპი, რომელშიც პოეტი ფაროსს მეზობელ კუნძულს უწოდებს და ერთი ეპიგრამა „პალატინის ანთოლოგიიდან“, მისი ავტორი ნონოსს ათქმევინებს: „მე ვარ ნონოსი, პანოსია ჩემი ქალაქი. **ფაროსის მეზობლად** შუბით აღმოვთქვი გიგანტთა დაბადება“ (Anth. Pal. IX, 198). ამ ეპიგრამამ

¹ ხელნაწერს მკვლევართა უმეტესობა VII საუკუნით ათარიღებს, ნაწილიც – VI საუკუნით. Lind, L. R., The date of Nonnos of Panopolis, SPh, XXIX 3, 1934, p. 69-73.

ზოგიერთს იმის ვარაუდის მიზეზიც მისცა, რომ ნონოსს ეკუთვნოდა სხვა პოემაც, სახელწოდებით „გიგანტომახია“; მაგრამ დღეისთვის გარკვეულია, რომ გიგანტომახიაში „დიონისიაკას“ მეორე სიმღერა იგულისხმება, რომელშიც მოთხრობილია დიონისეს შებრძოლება ტითონთან. არსებობს სხვა შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც გიგანტებში შეიძლება თვითონ ინდოელებიც იგულისხმებოდეს, რომელთაც დიონისე ებრძოდა, რადგან პოეტი ინდოელებს გიგანტებს უწოდებს.

იოვანეს სახარების გალექსილი ვარიანტიცა და „დიონისიაკაც“ იმაზე მოწმობს, რომ მათ ავტორს თავისი დროისათვის კარგი და მრავალმხრივი განათლება მიუღია. ქრისტიანული მოძღვრების პარალელურად მას საფუძვლიანად შეუსწავლია გეოგრაფიული და ისტორიული მეცნიერებანი და ბერძნული მითოლოგია. ამასთან დაკავშირებით, გამოთქმულია ის მოსაზრებაც, რომ პოეტს გარკვეული წლები ბეირუთშიც უნდა დაეყო იქაურ სახელგანთქმულ რიტორიკული იურიდიულ სკოლაში რიტორიკის ხელოვნებისა და იურისპრუდენციის შესასწავლად. გამომდინარე იქიდან, რომ ნონოსი ბეირუთის ზემოხსენებულ სკოლას ქებით იხსენიებს, ეს ვარაუდი ჭეშმარიტებისაგან დიდად დაშორებული არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ნონოს პანოპოლისელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდს, მის დასადგენად ყველაზე სანდო წყარო პოეტისა და ისტორიკოსის, აგათია მირინელის (სქოლასტიკოსის) „ისტორიაა“, რომელშიც იმპერატორ იუსტინიანე დიდის (527-565 წწ.) დროინდელი ამბები და მოვლენებია გადმოცემული. გარდა იმისა, რომ აგათია ნონოსს იხსენიებს როგორც „დიონისიაკას“ ავტორს, პოემიდან სტრიქონებიც

მოჰყავს, რომლებიც აპოლონსა და მარსიასს ეხება (I, 42-43).² ქრონოლოგიური ზღვარის დადგენაში, რომლის შემდგომაც არ შეიძლება ვივარაუდოთ ნონოსის მოღვაწეობა, გვეხმარება ის ფაქტი, რომ მის მიერ შექმნილი ბეირუთის რიტორიკულ-იურიდიული სკოლა 551 წელს დაიხურა. ამასთან, მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ადრებიზანტიური პოეზიის წარმომადგენელი პოეტები, რომელნიც იმპერატორ ანასტასი I-ის (491-518 წწ.) დროს მოღვაწეობდნენ; მუსეოსი, კოლუთე, ქრისტოდოროს კოპტელი და დრაკონტიუსი,³ ნონოსის სკოლას ეკუთვნოდნენ. მაშასადამე, „დიონისიაკა“ მე-6 საუკუნის დასაწყისში, ყოველ შემთხვევაში 551 წლამდე უნდა იყოს შექმნილი, ხოლო თარიღი, რომელზე ადრეც ნონოსი ვერ იქნებოდა, მე-4 საუკუნის ბოლო, სახელდობრ 380-იანი წლების მეორე ნახევარია, როცა გრიგოლ ღმრთისმეტყველის პოეზია შეიქმნა, რომლის გავლენასაც იგი განიცდის.

ამგვარად, ნონოსის ცხოვრების დროსა და უშუალოდ „დიონისიაკას“ შექმნის თარიღთან დაკავშირებით, ყველაზე სარწმუნო ის მოსაზრება ჩანს, რომლის მიხედვითაც იგი მე-5 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა, ხოლო თვითონ „დიონისიაკა“ 490 წლამდე უნდა იყოს დაწერილი, რადგან მეხუთე საუკუნის მიწურულსა და მე-6 საუკუნის დასაწყისში პოეტური მოღვაწეობის ასპარეზზე უკვე ის ზემოხსენებული პოეტები ჩნდებიან, რომელნიც ე. წ. „ნონოსის სკოლას“ მიეკუთვნებიან.

კითხვას ვინ იყო ეროვნებით ნონოს პანოპოლისელი – ეგვიპტელი კოპტი თუ ბერძენი, ასეთი პასუხი უნდა გაეცეს: წარმოშობით კოპტიც რომ ყოფილიყო, რასაც მისი არაბერძნული სახელი **ნონოსიც** უჭერს მხარს, მისი შემოქმედება მაინც ისევე ეკუთვნის ბერძნულ პოეზიას,

² „ამის თაობაზე ხომ ძველი პოეტებიც მღეროდნენ და გადმოღებული აქვთ რა მათგან, ახლებიც ხმას აყოლებენ; მათ შორის ნონოსიც, ეგვიპტის პანოპოლისიდან, ერთ-ერთ თავის პოემაში, რომელსაც „საქმენი დიონისესი“ უწოდა, მოგვითხრობს რა გაკვრით აპოლონზე, ასე ამთავრებს... (Hist. IV, 23,5).

³ Nonnos de Panopolis. Les Dionysiaques. Texte établi et traduit par F.Vian, t. I, Paris, 1976.

როგორც სირიელი ლუკიანე სამოსატელისა – ბერძნულ პროზას, რადგან ორივეს ლიტერატურული მემკვიდრეობა ბერძნული კულტურის ტრადიციებითაა ნასაზრდოები; თუმცა ნონოსთან დაკავშირებით ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მის პოემაში აღმოსავლური საწყისი მძლავრობს, რაც უნინარესად არაელინურ ლიტერატურულ გემოვნებაში გამოიხატა, მაგალითად, ხელოვნურად გავრცობილ პოეტურ მეტყველებასა და ნაწარმოების გადატვირთვაში ძირითად თემასთან ლოგიკურად დაუკავშირებელი ამბებისა და მოვლენების გადმოცემით. გვიან ელინისტურსა და რომაულ ეპოქაში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ელინიზაცია ეგვიპტისა. ბერძნულენოვანი პოეზია, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა თავდაპირველად მხოლოდ ალექსანდრიაში ეკავა, სწრაფად გავრცელდა ეგვიპტის თებაიდის ქალაქებში. როცა ამ მოვლენის თანამედროვე ევნაპი შენიშნავს, რომ ეგვიპტელები უკიდურესად იყვნენ გატაცებულნი პოეზიით (Vitae Sophist; X, 7,12), უცილობლად ბერძნულენოვან პოეზიას გულისხმობს, რადგან მისთვის სხვა ენოვანი პოეზია საერთოდ არ არსებობდა.

იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ეპიკურ ჟანრში, რომელიც არა მხოლოდ თემატიკით, არამედ სტილითა და ლექსთწყობითაც ძველი ბერძნული ტრადიციების ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა, ნონოსამდე მოღვაწეობდნენ პოეტები: ეგვიპტეში ტრიფიოდორე (III ს. ბოლო, IV ს. დასაწყ.), მცირე აზიაში კვინტოს სმირნელი, რომლის ცხოვრებასაც F. Vian-ი მე-3 საუკუნით ათარიღებს.⁴

ტრიფიოდორეს დაუნერია პოემები მარათონის ბრძოლაზე – „მარათონიაკა“, „ჰიპოდამიას მაშვლობა“, მაგრამ განსაკუთრებული მონონება დაუმსახურებია პოემას „ოდისეა ასოდაკლებული“.

⁴ F. Vian, Quintus de Smyrne, La suite d'Homère, v. I, P, XIX-XXII, Paris, 1963.

კვინტოს სმირნელს ეკუთვნის პოემა „ჰომეროსის შემდეგდროინდელი ამბები“ (პოსტჰომერიკა). როგორც სათაურშივეა მინიშნებული, თხზულებაში ე. წ. ტროას ციკლში შემავალი მითოსური ამბები იქიდანაა მოთხრობილი, სადაც მათი გადმოცემა „ილიადაში“ წყდება და აქაველთა მიერ ილიონის აღებითა და ტროას ომის გმირების შინ დაბრუნების აღწერით მთავრდება. ასე რომ, კვინტოს სმირნელის პოეტურ ქმნილებას საფუძვლად კიკლიკური პოემები უდევს. თუმცა „პოსტჰომერიკა“ ჰომეროსის მიბაძვითა და ენითაა დაწერილი, მხატვრული ღირსებებით მის პოემებს დიდად ჩამორჩება. დავიწყოთ იქიდან, რომ, ჰომეროსისაგან განსხვავებით, პოეტი მითოსურ სიუჟეტებს ერთ გამაერთიანებელ თემას ვერ უძებნის, რის გამოც პოემის ცალკეულ ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირი არ იგრძნობა, და სიუჟეტიც მექანიკურად შეკონინებული შთაბეჭდილებას ტოვებს. „პოსტჰომერიკის“ ავტორი ჰომეროსს ვერც პერსონაჟთა ხასიათების ხატვის ოსტატობით შეედრება.

როგორც ამას ჩვენამდე მოღწეული ცნობები და თავად ნაწარმოებთა ნაწყვეტები გვიდასტურებენ, ტროას ომი და მასთან დაკავშირებული მითოსური ამბები III-V საუკუნეებში მოღვაწე პოეტებისათვის აქტუალურ თემებად რჩებოდა.

ელინისტურსა და კიდევ უფრო მეტად რომაულ ეპოქაში, განსაკუთრებით პოპულარული გამხდარა, აგრეთვე, დიონისეს თემა. ვენახის, ღვინისა და ნაყოფიერების ღმრთეებაზე პოემა დაუწერია იმპერატორ ნერონს; ასევე, ვინმე დიონისეს, რომლის ცხოვრებასაც, მისივე თხზულებიდან „გიგანტიადა“ პაპირუსზე შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ქრისტეს შობის შემდეგ II საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ, ვენახისა და ღვინის ღმერთისათვის პოეტური თხზულება მიუძღვნია, სახელად „ბასარიკა“, რომელიც 18 სიმღერისაგან შედგებოდა. როგორც ჩანს, თხზულებაში აღწერილი უნდა ყოფილიყო

დიონისეს ლაშქრობა ფრიგიასა და ინდოეთში, ხოლო მესამე სიმღერა დიონისესა და ინდოეთის მეფის – დერიადეს მხედრობათა კატალოგს ჰომეროსის „ილიადის“ ანალოგიით გადმოცემდა, რაც იმას ადასტურებს, რომ ნონოს პანოპოლისელის უშუალო წინამორბედი სწორედ ამ პოემის ავტორია. ამავე სახელწოდების პოემა შეუქმნია ეგვიპტელ პოეტს სოტერიქეს. მისი „ბასარიკა“ ანუ „საქმენი დიონისესი“ როგორც ამას ლექსიკონი სვიდა იუწყება, ოთხი წიგნისაგან შედგებოდა.

პირველად ნონოს პანოპოლისელის „დიონისიაკა“ 1659 წელს გამოიცა ანტვერპენში გერჰარდ ფალკენბურგის მიერ და თავისი მნიშვნელობა მანამდე შეინარჩუნა ვიდრე პოემას 1909-1911 წლებში უფრო მაღალ მეცნიერულ დონეზე პ. ლუდვიჰი გამოსცემდა.⁵ ამას მოჰყვა ვ. როუზისა და ლ. ლინდის გამოცემა 1940-42 წლებისა.⁶

1976 წლიდან ფრანგი ფ. ვიანის ხელმძღვანელობით მეცნიერების მიერ, დაიწყო „დიონისიაკას“ მრავალტომეული, ფუნდამენტური გამოცემა ფრანგული თარგმანითა და მეცნიერული აპარტიურთ. დღემდე პოემის დაახლოებით ნახევარია გამოცემული.

თუ ადრეულ შუასაუკუნეებში ნონოსის მიერ გალექსილი „იოვანეს სახარება“ ბევრად უფრო პოპულარული იყო ვიდრე „დიონისიაკა“, ალორძინების ეპოქასა და ბაროკოს დროს წარმართული ღმერთისადმი მიძღვნილმა ვრცელმა პოემამ გასაგებ მიზეზთა გამო, დასავლელ მკითხველთა შორის აღფრთოვანება გამოიწვია, იგი იმ საზოგადოების გემოვნებას შეეფერებოდა, რომელსაც ქრისტიანულიდან ანტიკურ კულტურაზე დაბრუნება არა მხოლოდ კონკრეტულად ანტიკურის, არამედ საერთოდ კულტურის აღორძინებად და განვითარებად მიაჩნდა.

⁵ Nonni Panopolitani Dionysiaca, recensuit Arthurus Ludwich, 1909-1911, Lipsiae, in aedibus B. G. Teubneri.

⁶ Nonnos, Dionysiaca, London, W. Heinemann, Cambridge, mass. Harvard University Press, 1940-42.

იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ეპიკურ პოეზიაში ნონოს ჰომეროსზე წინ აყენებდნენ და მას „განსწავლულსა და დიდებულ პოეტს“ უწოდებდნენ.

პოემის კომპოზიციურ აგებულებაზე მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს. შტეგემანის აზრით,⁷ „დიონისიაკას“ კომპოზიციას საფუძვლად ასტროლოგიური რიცხვების სიმბოლიკა უდევს და მისი სიმღერების რიცხვი – 48 ზოდიაქოს 12 ნიშნის წელიწადის ოთხ დროზე გამრავლების შედეგადაა მიღებული. ასევე სიმბოლური დატვირთვა აქვს ციფრ 5-საც, კერძოდ, იგი აიონის კულტანაა დაკავშირებული, რომელიც „დიონისიაკაში“ არაერთგზის იხსენიება.

შტეგემანი პოემის გეგმას სახოტბო ჟანრის – პანეგირიკის სქემიდან გამომდინარე განიხილავს, რომელსაც ასეთი თანმიმდევრობა აქვს: შესავალი, წარმომავლობა, მამული, შობა, აღზრდა, განათლება, საქმენი ომისანი, საქმენი მშვიდობიანი, შედარება (sugkrisi~). ნონოსის თხზულებაში ყველა ეს ელემენტი ამავე თანმიმდევრობით იხილვება, ოღონდ ყველაზე მნიშვნელოვანი – შემაჯამებელი ელემენტი (sagkrisi~) ცენტრშია გადმოტანილი და პოემის სარკისებური კომპოზიციის ღერძს წარმოადგენს.

„დიონისიაკას“ კომპოზიციის სქემას სარკისებური ასახვის პრინციპებიდან გამომდინარე განიხილავს პ. კოლარიც. მისი აზრით, ამგვარი ასახვისას პოემის ღერძს ინდოელებთან დიონისეს ომი ქმნის, რომელიც XX-XXXII სიმღერებშია გადმოცემული. რაც შეეხება მომდევნო სიმღერებს ანუ თხზულების მეორე ნაწილს, იგი თემატური და

⁷ Stegemann V. Astrologie und Universalgeschichte: Studien und Interpretationen zu den Dionysiaka des Nonnos, Leipzig, 1930.

ჟანრობრივი ელემენტების განმეორებებით პირველი ნაწილის სარკისებურ არეკლვას წარმოადგენს.⁸

მართალია, „დიონისაკას“ კომპოზიციის გეომეტრიული სქემით წარმოდგენა რამდენადმე ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არც იმ თვალსაზრისის გაზიარება შეიძლება, რომლის მიხედვითაც პოემას გეგმა საერთოდ არ გააჩნია, რადგან იგი ავტორს დაუმთავრებელი დარჩა და ვილაც სხვა პირმა გამოსცა.⁹

ორ უკიდურეს შეხედულებათა შორის განიხილება ნონოსის პოეტური ქმნილების ყველაზე ცნობილი მკვლევარის, ფრანსუა ვიანის თვალსაზრისი „დიონისაკას“ კომპოზიციური აგებულების შესახებ, სახელდობრ, იგი განსახილველ ნაწარმოებში არც რიცხობრივ კანონზომიერებათა თანმიმდევრობას ეძებს და მას არც ვითარცა რაღაც ერთმანეთთან ცუდად დაკავშირებულ ელემენტთა გროვად თვლის, რომელსაც ერთი საერთო გეგმა არ აქვს. მისი აზრით, მკითხველის წარმოსახვაში პოემა ჭრელი ყვავილებისაგან შედგენილ ნწულებად წარმოდგება, რომელთა ღეროებიც ერთმანეთთან რთულადაა გადაწნული. ამისთვის საფუძველს თვითონ ნონოსი იძლევა; იგი ხშირად იყენებს ტერმინებს – „დანვნა“ და „შერევა“ (იგულისხმება სიმღერებისა – *meto~ plekein, kerasai*). ვიანის დაკვირვებით, რამდენადაც სიუჟეტური ეპიზოდების საზღვრები დიდწილად სიმღერათა საზღვრებს არ ემთხვევა, მათემატიკურ გამოთვლათა შესაძლებლობაც ბუნებრივად გამოირიცხება. მეორე მხრივ, პოემასთან დაკავშირებით, არც მის ქაოტურობაზე შეიძლება ლაპარაკი. მკვლევარი, მის აგებულებაში ორ პრინციპს განასხვავებს: აღმავალს, რომელიც დიონისეს ზეცაში ასვლას გვიხატავს და – წრიულს. ვიანის მიხედვით, კომპოზიციური ღერძი 25-ე

⁸ Collar P. Nonnos de Panopolis; *Études sur la composition et la texte des Dionysiaques*. Le Caire, Impr. D' l' Institut français d'archeologie uriental, 1960.

⁹ Kaydell R., *Zur Komposition der Bücher XIII-XL der Dionysiaka des Nonnos*. *Hermes* 62(1927, S. 393-394).

სიმღერაა, რომელიც მსგავსად პირველი სიმღერისა, მუზისადმი მიმართვით იწყება და „მკვდარ ეპიკურ დროში“ მდებარეობს, ანუ მოცემულია ბრძოლის პირველი შვიდი წლის ადგილზე, რომელსაც პოეტი არ ასახავს და დიონისეს შედარებას (სინკრისისს) ზევსის სხვა შვილებთან და მისი ფარის სიმბოლურ აღწერას ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ ამ ღერძის გარშემო ზოგიერთი ელემენტი მართლაც იმეორებს ერთმანეთს, თუმცა არა იმგვარი სქემატური სიმკვეთრით, როგორც ეს შტეგემანსა და კოლარს ჰქონდა წარმოდგენილი. მაგალითად: „თავდაპირველი დიონისე“ – ზაგრევსი არეკლილია „პოსტდიონისე“ იაკხუსში. პირველ ნაწილში მოთხრობილ დიონისეს ბედნიერ სასიყვარულო თავგადასავალს ნიკაიასთან შეესაბამება ღერძის შემდეგ, მეორე ნაწილში, გადმოცემული დიონისეს ასევე ბედნიერი სატრფიალო ურთიერთობა ავრასთან. ნიშანდობლივია, რომ დიონისემ ორივე ერთი და იმავე ხერხით დაიმორჩილა და ორივემ უშვა შვილები: ნიკაიამ ასული ტელეტა, ხოლო ავრამ ვაჟი – იაკხუსი. მეორდება, აგრეთვე, სახეები დიონისეს ორი უბედური შეყვარებულისა; პირველ ნაწილში ესაა ამპელოსი, ხოლო მეორეში – ბეროე. საინტერესოა, რომ დიონისეს სატრფიალო თავგადასავალს ორივე შემთხვევაში დიდი შედეგი მოჰყვა: აღმოჩენა ვაზისა და დაარსება ნონოსის მიერ შექმნილი ქალაქის – ბერიტისა; შემდეგ: დიონისეს არ ყოფნისას ბაკხი ქალები ორჯერ იხსნიან მის ჯარს დამარცხებისაგან: ამბროსია მაშინ, როცა დიონისე ლიკურგოსს გაექცევა, ხოლო ქალკომედა, როცა მას სიგიჟე დაემართება. ასევე: დიონისე ორჯერ ებმება ორთაბრძოლაში ინდოელების ბელადებთან და ორჯერვე თირსოსით ამარცხებს მათ; პირველ ნახევარში – ორონტესს, ხოლო მეორე ნახევარში – დერიადესს. სარკისებური ასახვის პრინციპიდან გამომდინარედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ პოემა იწყება და მთავრდება გიგანტომახიით.

მართალია, ნონოსის თხზულების ძირითად ნაწილს ინდოეთის წინააღმდეგ ამ ქვეყანაში მისი კულტისა და ვენახის კულტურის დანერგვის მიზნით დიონისეს ბრძოლა წარმოადგენს, მაგრამ, რამდენადაც იგი, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორის მიერ, საერთოდ, ამ ღმერთის პანეგირიკად იყო ჩაფიქრებული, პირველ 12 სიმღერაში, რომელსაც ორ ჰექსადად – ექვსეულად ყოფენ, ვრცლადაა გადმოცემული მისი თავგადასავალი ინდოეთზე გალაშქრებამდეც: სახელდობრ, პირველი ჰექსადა დიონისეს წარმომავლობის ისტორიას ძალიან შორიდან, ხარადქცეული ზევსის მიერ ევროპეს მოტაცებიდან, მოგვითხრობს; აქვეა სიმღერა ზაგრევსზეც, ხოლო მეორე ჰექსადა მის დაბადებაზე, აღზრდასა და სიყმაწვილის წლებზე გვიყვება. თუმცა პოემის ბოლო სიმღერებიც ორ ჰექსადად იყოფა, მაგრამ დასაწყისში ეს ჰექსადები ექვს-ექვს სიმღერას წარმოადგენს, ხოლო დასასრულში ექვს-ექვს ეპიზოდს, ანუ სიმღერათა საზღვრები ეპიზოდთა საზღვრებს არ ემთხვევა.

„დიონისიაკას“ ძირითად ნაწილში, ე. წ. „ინდიადაში“ სიმღერები პენტადებად – ხუთეულებად ჯგუფდება, რომელთაგან თითოეულში მისი „სიჭრელის“ – გამრავალფეროვნებისათვის ერთი დიდი ეპილიონი, უმთავრესად სატრფიალო ხასიათისა, არის ჩართული. პოემის სიუჟეტურ ღერძამდე – 25-ე სიმღერამდე ორი პენტადაა; მათგან პირველი (XIII-XVII სიმღერები) იხსნება დიონისეს მხედრობის კატალოგით და მოგვითხრობს დიონისეს ბრძოლაზე მცირე აზიაში. მასში ჩართულია ეპილიონი ნიკაიაზე. მეორე პენტადას პირველისაგან ორი მშვიდობიანი სიმღერა ჰყოფს, სახელდობრ, მე-18 და მე-19 სიმღერები სტაფილოსა და ბოტრისზე, რომელნიც, თავის მხრივ, სხვა „ვაზისეული“ გმირის – ამპელოსისადმი მიძღვნილ ორ სიმღერას: მე-11-სა და მე-12-ეს „იმეორებენ“. მეორე პენტადა (XX-XXIV სიმღერები) ინდოეთზე

გალაშქრებამდე დიონისეს მცირე აზიაში ბრძოლაზე მოგვითხრობს და მასში ლიკურგოსისადმი მიძღვნილი ეპილიონია ჩართული.

„ინდიადის“ მეორე ნახევარი, **XXV** სიმღერის შემდეგ, რომელიც პოემაში აუსახველი შვიდი წლის ბრძოლის ადგილს იკავებს, ინდთა მეფის – დერიადესის მხედრობის კატალოგით იწყება, ისევე როგორც პირველი ნახევარი დიონისეს მოკავშირეთა კატალოგით. მეორე ნახევრის პირველ ხუთეულში აღწერილია დაპირისპირებულთა სამდღიანი ბრძოლა, რომელიც დიონისეს გამარჯვებით მთავრდება მასში გვხვდება სატრფიალო ეპილიონი ჰიმენეზე; მეორე ხუთეული (**XXXI-XXXV** სიმღერები), მორევსზე სატრფიალო ეპილიონის ჩანართით, დიონისეს სიგიჟესა და მისი მხედრობის დამარცხებაზე მოგვითხრობს, ხოლო ბოლო ხუთეული (**XXXVI-XL** სიმღერები) დიონისესა და დერიადესის ორთაბრძოლასა და საერთოდ, დიონისეს ინდოეთზე საბოლოო გამარჯვებას აღწერს. მათგან ერთი სიმღერა ოფელტესის დაკრძალვისას გამართულ თამაშობათა აღწერას ეძღვნება, ხოლო ერთიც ფაეტონის შესახებ ეპილიონს წარმოადგენს.¹⁰

მოგვიანებით ფ. ვიანი ისევ დაუბრუნდა „დიონისიაკას“ კომპოზიციის საკითხს და დაასკვნა, რომ იგი პოემაში ასახულ მოქმედებათა მამოძრავებელ ძალებს – ბედსა და ღმრთეებას ავლენს. და ამდენად „საქმენი დიონისესი“ მხოლოდ მის ბიოგრაფიას კი არ წარმოადგენს, არამედ აღწერილობას სამყაროს მითოლოგიური ისტორიის ერთი პერიოდისა.¹¹

¹⁰ უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ფრანსუა ვიანი „დიონისიაკას“ სიუჟეტური ქარგის განხილვისას არც ამ ტერმინებს: ჰექსადა და პენტადა იყენებს და არც მკაცრად ჩამოყალიბებულ სქემას იძლევა. ვიანის გამოკვლევაზე დაყრდნობით, სქემაცა და ტერმინებიც ა. ვ. ზახაროვას ეკუთვნის, რომელმაც „დიონისიაკას“ ი. ა. გოლუბცის მიერ რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანს ვრცელი წინასიტყვაობა დაურთო. იხ. Нонн Панополитанский, Деяния Диониса, Перевод с древнегреческого Ю. А. Голубца. Вступительная статья А. В. Захаровой, С. –Петербург, 1997.

¹¹ Vian F. Dionysus in the Indian war: a contribution to a study of structure of the Dionysiaca. Studies in the Dionysiaca of Nonnos. Ed. Neil Hopkinson, Cambridge philological society, 1994.

ზევის ჩანაფიქრს, რომელიც მე-13 სიმღერაშია განცხადებული, – დიონისეს საშუალებით სამყაროს ღვინო და მისტერიები აჩუქოს – წინააღმდეგობა ხვდება ჰერას სახით. ამგვარად, პოემის მთავარი მამოძრავებელი ძალა ჰერას მზაკვრობანია. როგორც ამას თავად დიონისე ამბობს (XXV, 341), მას ერთი დღეც კი არ დასჭირდებოდა ინდოელთა ქალაქის დასანგრევად, და შეეძლო იგი ერთ დილას გაენადგურებინა; მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ისტორიის მოვლენებს, არა თვითონ, არამედ ზევისი და ჰერა განაგებენ, ეს ვერ გააკეთა. ამიტომაც. ვიანის აზრით, ამაოდ საყვედურობენ მკვლევარები ნონოსს იმის გამო, რომ მისი დიონისე აქტიურად არ მოქმედებს და პოემაში არც მისი ქცევებია ფსიქოლოგიურად მოტივირებული. დიონისეს მთავარი საქმე ზევის ნების, რაც ბედისწერით დადგენილის იგივეობრივია, ასრულება და შემდეგ ზეცაში დამკვიდრებაა, რაც მისგან მზარდ აქტივობას მოითხოვს, მაგრამ თავდაპირველად, ინდოეთთან ომის დაწყებისას, საომარ მოქმედებებს იგი პრაქტიკულად თავს არიდებს და როგორც მთავარსარდალი, მოქმედებას შედარებით გვიან იწყებს, ხოლო პირადად ბრძოლაში მხოლოდ მისი დასასრულისას მონაწილეობს.

გასაზიარებელია იმ მკვლევართა შეხედულება, რომელთა აზრითაც „დიონისიაკა“ რამდენიმე სიუჟეტური პლანისაგან შედგება; მათგან პირველი მისტერიულია. მისტერიულში იგულისხმება სამმაგი თეოფანია ზევისა: მის მიერვე შობილ დიონისე-ძაგრევსში, დიონისე-ბაკხუსსა და დიონისე იაკხუსში, რომელთაგან პირველი ორი იღუპება და ოლიმპოსზე მხოლოდ მესამე ადის.

მეორე პლანი ისტორიულია და ალეგორიზებული სახით ღვინის წარმოშობის ყველა ეპიზოდს შეიცავს. პოემაში მრავალი ალეგორიული ფიგურა გვხვდება, როგორცაა მაგალითად, სატირები: ამპელოსი – ვაზის ლერწი და სტაფილოსი – ყურძნის მტევანი, ბოტრისი ყურძნის

კუფხალი, პითოსი – თიხის ქურჭელი ღვინისათვის, ფთონოსი – შური, აპატე – ტყუილი და სხვ. გარდა ამისა, დიონისეს ლაშქრობა ინდოეთში ავტორს საბაბს აძლევს, ცოდნა, რომელიც მას ამ ქვეყნის შესახებ აქვს, თავის თხზულებაში სრულად გადმოგვცეს. და ბოლოს, მესამე პლანი თეოლოგიურ ორნამენტს წარმოადგენს, რომელშიც ჰომეროსის პოემებიცაა გამოყენებული და ალექსანდრიული ბუკოლიკური პოეზიაც.¹²

„დიონისიკა“ ეპიკური პოეზიისათვის დამახასიათებელი ტრადიციით, რომელიც სათავეს ჰომეროსიდან იღებს, – მუზისადმი მიმართვით იწყება. ნონოსი ხელოვნების ქალღმერთს სთხოვს უმღეროს დედის – სემელეს საშოდან და მამის – ზევსის თქოდან ორგზის დაბადებულ დიონისეზე; მაგრამ ნიშანდობლივია, რომ იგი აქვე ითხოვს შეწევნას ზღვის მოხუცი ბინადარი პროტევსისაგანაც, რომელსაც ცვლილება და მრავალი სხვადასხვა სახის მიღება ხელენიფება. მრავალსახოვანი პროტევსის შემწეობა პოეტს არა მხოლოდ „

ჭრელი“, მრავალფეროვანი სიმღერების შესაქმნელად სჭირდება, არამედ იმ მეტამორფოზების აღსაწერადაც, რომელთაც პოემის პერსონაჟები განიცდიან. ასეთია მაგალითად, აკტეონი, რომელიც ირმად გადაიქცევა; ზევსი პერსეფონესთან ქორწინებისას, რომლის შედეგადაც დიონისე–ზაგრევსი იშვება, დრაკონის სახეს იღებს, სატირი ამპელოსი, ისევე როგორც ბაკხი ქალი ამბროსია, მეფე ლიკურგოსთან დიონისეს ამალის შეჯახებისას, ვენახის ლერწად გარდაისახება. საინტერესოა, რომ ლერწად გარდასახული ამბროსია, მჭიდროდ ეხვევა მტერს და დევნის გაგრძელებისათვის აბრკოლებს. ერისი დიონისეს რეას სახით წარუდგება, ხოლო ირისი – ჰერმესის სახით და ა. შ.

¹² Фрейберг Л. А. Византийская поэзия IV-X вв. и античные традиции, წიგნში Византийская литература, М., 1974, გვ. 48-49.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნონოსს ჰომეროსის პოემები ეპიკური ჟანრის საუკეთესო ნიმუშებად მიაჩნია (მათ ჰომეროსის ბრძნულ საყვირს (sof hv satpsgx) უწოდებს). აქედან გამომდინარე, მისდამი მიმბაძველობას არა თუ სათაკილოდ თვლის, არამედ ერთგვარად თავსაც კი იწონებს იმით, რომ თავისი პოემა ჰომეროსის მიბაძვით შექმნა (XXV, 8).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „დიონისიაკას“ სიმღერების რიცხვი – 48 ავტორმა ჰომეროსის ორივე პოემის „ილიადასა“ და „ოდისეას“ შემადგენელ სიმღერათა ერთად აღებულ რიცხვს შეგნებულად დაამთხვია.¹³ გარდა ამისა, ჰომეროსის მსგავსად, ნონოსიც იძლევა კატალოგს როგორც დიონისეს მოკავშირეებისა, ასევე ინდოეთის მეფის დერიადესის მხარეს მებრძოლთა, როგორც ამას ჰომეროსი აკეთებს „ილიადაში“, როცა ჩამოთვლის ვინ იბრძოდა აქაველთა მხარეზე და ვინ ეხმარებოდა ტროელებს.

როგორც ცნობილია, ჰომეროსი „ილიადაში“ ტროას ათწლიანი ომიდან მხოლოდ მეათე წლის ბრძოლას აღწერს. ასევე იქცევა ნონოსიც. იგი დიონისეს ინდოეთში შვიდწლიანი ლაშქრობის მხოლოდ ბოლო, მეშვიდე წლის საბრძოლო ეპიზოდებს ასახავს. ჰომეროსი დიდ ადგილს უთმობს აქილევსის ფარის აღწერას, რომელიც აქაველთა სახელოვან მებრძოლს ჰეფესტომ გამოუჭედა. ასევე დაწვრილებითაა აღწერილი დიონისეს ფარი „დიონისიაკაში“, რომელიც ღმერთმა ინდოელებთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ საჩუქრად ფრიგიელი ატისისაგან მიიღო. გამოსახულებებით მდიდრულად შემკული ფარის ცენტრში ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მოჩანდა, რომელსაც გარს არშიასავით ევლებოდა თებესა და მეონიის ციკლის მითოლოგიური სიუჟეტების

¹³ ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 56.

ამსახველი სცენები; მათი გადმოცემისას ჩანს პოეტის მცდელობა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვისა.

მართალია, ნონოსს ეპიკოსი პოეტისათვის მისაბაძ ნიმუშად ჰომეროსის პოემები მიაჩნია და, როგორც ვნახეთ, ბაძავს კიდევაც მათ, მაგრამ მისი თხზულება მისაბაძი ნიმუშებიდან მაინც დიდად განსხვავდება და ამ სხვაობას უწინარესად ჟანრობრივი მრავალფეროვნება, სხვადასხვა ჟანრის სინთეზი ქმნის. ეპოქა და ადგილი, სადაც ნონოსს მოუხდა მოღვაწეობა, სიტყვიერ ხელოვნებაში რიტორიკული პროზისათვის უპირატესობის მინიჭებით გამოირჩეოდა და ამ ვითარებამ თავისი გავლენა პანოპოლისელი პოეტის ქმნილებაზეც მოახდინა. „დიონისიაკაში“ შეიძლება მკვლევარმა არა მხოლოდ ენკომიონის – სახოტბო ნაწარმოების კომპოზიციური სქემა იპოვნოს, არამედ მისი სხვა ელემენტებიც. ჟანრული მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ნონოსის პოემა ა. ვიფსტრანდმა¹⁴ გამოიკვლია და დაასკვნა, რომ მასში მჭევრმეტყველების ნიმუშებს – სიტყვებს არც თუ ისე მცირე ადგილი, დაახლოებით თხზულების ერთი მეოთხედი უკავია. ამასთან, თუ ჰომეროსსა და მის მიმდევრებთან – აპოლონიოს როდოსელსა და კვინტოს სმირნელთან სიტყვები ყოველთვის კონკრეტული პირისადმია მიმართული და ამ პირთაგან პასუხებიც აქვს გაცემული, ნონოსთან მათ ხშირად ადრესატი ან საერთოდ არ ჰყავს, ან თუ ჰყავს, მათგან საპასუხო სიტყვა არ წარმოითქმება, ზოგჯერ ისინი მხოლოდ თანხმობას გამოხატავენ. სიტყვები აქ სიტყვებისთვისაა წარმოთქმული, ანუ მათი ფუნქცია მჭევრმეტყველების ხელოვნების წარმოჩენაა და აქედან გამომდინარე, პოემის შინაარსის განვითარებაში არავითარ როლს არ თამაშობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვების დიდი ნაწილის ამოღება პოემას არაფერს დააკლებდა. მათში ხშირად იმ პირთა

¹⁴ Wifstrand A. Vor Kallimachos zu Nonnos, Lund, 1933.

თვისებები წარმოჩნდება, რომელნიც მათ წარმოთქვამენ და ამდენად ხელს არა სიუჟეტის განვითარებას, არამედ პერსონაჟის ხასიათის შექმნას (Hqopoiia) უწყობენ; ხშირად კი პერსონაჟი თხზულებაში მხოლოდ იმიტომაა შემოყვანილი, რომ მითოსიდან აღებული შედარებებით უხვად შემკული სიტყვა წარმოთქვას და მერე საერთოდ გაქრეს. უმეტესწილად მათ საკუთარი სახელებიც კი არ გააჩნიათ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, მეზღვაური, რომელმაც დაინახა, როგორც მოიტაცა ხარმა ევროპე, ასევე სხვა მეზღვაური, რომელიც ხედავს როგორ მიცურავენ იმ ხომალდისკენ კადმოსი და ჰარმონია, რომელზეც თვითონ დგას, უსახელო ნიმფებისა და ბაკქი ქალების უმრავლესობა. ხშირად სახელებით არ იხსენიებიან, როგორც ამას ჰომეროსის „ილიადაშიც“ ვხვდებით, ბრძოლაში დაღუპულები, რადგან ისინი ძირითადად ბატალური სურათების დეტალებით შესავსებად არიან შემოყვანილნი.

შინაარსი: შეშინებული და შეწუხებული ევროპე წყალსა და ხმელეთს შესთხოვს იმის შესახებ, რაც დაემართა, მის მშობლებს აუწყონ. ამავე სიმღერაში მოთხრობილია კადმოსზე, რომელიც დის საძებნელად მიემართება. იგი არიმის გამოქვაბულში მიდის, სადაც ზევსმა, ტანტალოსის მომავალ დედასთან, პლუტოსთან შეუღლებისას თავისი ელვები დატოვა. საზარელმა ურჩხულმა ტიფონმა, რომელიც გეამ ზევსზე შურისძიება შთააგონა, დედის რჩევით, ეს ელვები გაიტაცა და გადამალა, რადგან არ იცის როგორ გამოიყენოს. ტიფონი ზეცის მნათობთა დამარცხებას ცდილობს, ეოსს ცაზე ამისვლის ნებას არ აძლევს, მზისა და მთვარის ეტლებს აჩერებს, მაგრამ არც მნათობები არიან გულზე ხელდაკრეფილნი, თანავარსკვლავედნი წინააღმდეგობას უწევენ ურჩხულს: ორიონი ხმლით, ხოლო მშვილდოსანი – მშვილდისრით და ისიც იძულებულია უკან დაიხიოს.

ამასობაში კადმოსმა არიმის გამოქვაბულს მიაღწია, ხოლო ხარად სახეცვლილმა ზევსმა ევროპე კუნძულ კრეტაზე გადაიყვანა, იქ მშვენიერ ჭაბუკად გარდაისახა და სანადელსაც მიაღწია. შემდეგ მან ორსული ევროპე ასტერიონს ჩააბარა, ზეცაზე ოლიმპიელი ხარის თანავარსკვლავედი აანთო და გატაცებული ელვების დასაბრუნებლადაც მოიცალა. არიმის გამოქვაბულში მან კადმოსი მწყემსად გადააქცია და სალამური უბოძა, ხოლო პანმა ნახირი და ფარა მიურეკა. ზევსის გეგმა მარტივია, მას ტიფონის დამარცხება და სამყაროსათვის, რომელშიც ურჩხულმა უწესრიგობა გაამეფა, წესრიგისა და ჰარმონიის დაბრუნება სურს. ამისთვის კადმოსმა სალამურზე დაკვრით ტიფონი უნდა მოხიბლოს, სამაგიეროდ, ცოლად მიიღებს მშვენიერ ჰარმონიას. კადმოსი მართლაც შეძლებს ტიფონის მოხიბლვას, რომელიც ელვებს გამოქვაბულში მალავს და სმენის დამატკბობელი მელოდიების მოსასმენად მიეშურება.

მეორე სიმღერაში „ტიფონია“ მოთხრობილია, რომ ვიდრე ურჩხული სალამურის ხმებით ტკბებოდა, ზევსმა გამოქვაბულიდან გადამალული ელვები გამოიტანა, ხოლო კადმოსი სქელი თეთრი ნისლის საბურველში გაახვია. სიმღერა შეწყდა და ტიფონიც მიხვდა, რომ მოატყუეს. ამიტომ მის მრისხანებას საზღვარი არ აქვს, გაცოფებული ჯავრს ბუნებაზე იყრის: უმოწყალოდ ანადგურებს ცხოველებს, არათუ წყაროებსა და მდინარეებს, არამედ ზღვასაც კი აშრობს. ხმება დედამიწის მწვანე საფარი; მის განადგურებას აპოლონი, პანი, ათენა, აფროდიტე და დემეტრე გლოვობენ. ტიფონთან ბრძოლის დასაწყებად ოლიმპოს მბრძანებელი განთიადს ელოდება. მასთან ლეტოს სახით გამარჯვების ქალღმერთი ნიკე მიდის და ამხნევენს. მზის ამოსვლისას საზარელი ურჩხული, რომელსაც მრავალი სხვადასხვა ცხოველის თავი აბია, ზევსს ემუქრება, რომ ოლიმპოდან ჩამოაგდებს და ატლასთან ერთად ზეცის

თალის შედგომას აიძულებს, პერას ცოლად დაისვამს, ხოლო აფროდიტესა და სელენეს – მოახლეებად. ზეცაზე დააბრუნებს ურანოსსა და ზევსის მიერ ჩამოგდებულ დედამიწის შვილებს – კრონოსს, გიგანტებსა და კიკლოპებს, ახალ, მერვე ცას შექმნის და მრავალთავა უკვდავ არსებათა ახალ თაობას დაუდებს სათავეს.

ამ მუქარას ასრულება არ უწერია. მეხითა და ელვებით შეიარაღებული ზევსი ტიფონს აიძულებს თავი ზღვას შეაფაროს, მაგრამ ზეციური ცეცხლი და სეტყვა ზღვაზეც მძვინვარებს და ტიფონიც მარცხდება. ურჩხულის დამარცხება სამყაროში წესრიგის დაბრუნებას მოასწავებს; ბუნება ცოცხლდება, ზღვა და ხმელეთი თავიანთ სახეს იბრუნებენ, ხოლო თანავარსკვლავედნი – თავთავიანთ ადგილს.

ზევსი კადმოსს ევროპეს ძებნის შეწყვეტას უბრძანებს და ჰარმონიასთან შეუღლებას უწინასწარმეტყველებს, რის შემდეგაც იგი ღმერთებთან ერთად ოლიმპოსზე ბრუნდება.

მესამე სიმღერაში გადმოცემულია კადმოსის მოგზაურობა კილიკიიდან სამოთრაკემდე, რასაც მხოლოდ ათი დღე დასჭირდა, რადგან აფროდიტეს შემწეობით ამ ხნის განმავლობაში ზღვაზე მშვიდი და უქარო ამინდი იდგა. ნაპირზე გადასული კადმოსი ელექტრას სასახლემდე ქალღმერთმა პეითომ მიაცილა, რომელმაც მოკვდავი ქალის სახე მიიღო. აქ უნდა შეხვდეს იგი თავის მომავალ მეუღლეს, ჰარმონიას, რომელიც მშობლებმა – აფროდიტემ და არესმა აღსაზრდელად ელექტრას მიაბარეს. ელექტრამ ჩვილი თავის ვაჟ ემათიონთან ერთად თავისი რძით გამოზარდა. ელექტრას ზევსის შიკრიკი ჰერმესი გამოეცხადება და აუწყებს, რომ ზევსის ნებით, კადმოსი, ვინც მას ტიფონის წინააღმდეგ ბრძოლაში სამსახური გაუწია, ჰარმონიაზე უნდა დაქორწინდეს.

მეოთხე სიმღერაში ელექტრა თავის აღზრდილს ზევსის ნებას აცნობს, მაგრამ, ქალწულს უცხოტომელის ცოლობა არ სურს. თავის ქალიშვილს აზრს აფროდიტე შეაცვლევინებს. იგი ჰარმონიას მოახლის – პეისინოეს სახეს მიიღებს და თავისი ქალბატონის ყურადღებას ფინიკიელი გმირის – კადმოსის მომხიბვლელ გარეგნობასა და სხვა ღირსებებზე მიაქცევს. შედეგად ჰარმონია თვითონვე რჩება გაოცებული კადმოსის მიმართ მის გრძნობების სწრაფი ცვლილებით, იგი თანახმა ხდება დატოვოს სამშობლო, სახლი, რომელშიც გაიზარდა და ცოლად გაჰყვეს კადმოსს. ისინი კუნძულს გამთენიისას ტოვებენ.

ამის შემდეგ მოთხრობილია როგორ ჩავიდა რჩევის საკითხავად კადმოსი დელფოსში, სადაც მას პითიამ ზეციური ხარის ძეხვის შეწყვეტა ურჩია და უწინასწარმეტყველა ქალაქის დაარსება, რომელსაც ეგვიპტის ქალაქის – თებეს სახელს დაარქმევდა. წინასწარმეტყველება ასრულდება, მაგრამ კადმოსს შებრძოლება მოუხდება წყაროს მცველ დრაკონთან, რომელიც მის მეომრებს დახოცავს და მასაც თავს დაესხმება. კადმოსს ათენა წამოეშველება და უწინასწარმეტყველებს, რომ ცოცხლად გადარჩენილი მისი მეომარი სათავეს დაუდებს თებელთა მოდგმას. კადმოსი ქვით კლავს დრაკონს, და არესის რისხვას იმსახურებს, რის შედეგადაც მას მომავალში გველად გადაქცევა ელოდება. მოკლული დრაკონის კბილებიდან, რომელიც მან ათენას რჩევით დათესა, მეომრები აღმოცენდებიან და შეუტევენ, მაგრამ თავს ხერხით გადაირჩენს: მათ შორის ქვას ჩააგდებს და ისინიც ერთმანეთს დახოცავენ.

მეხუთე სიმღერაში კადმოსი აარსებს თებეს, რომელსაც ზეცის შვიდი სარტყელის მსგავსად შვიდი კარიბჭე აქვს. აქვეა აღწერილი ჰარმონიასა და კადმოსის ქორწილიც. ქორწილს ოლიმპიელი ღმერთებიც ესწრებიან. ზევსი ბედნიერ წყვილს ყველა საქმეში წარმატებას უბოძებს,

პოსეიდონის საქორწინო საჩუქარი ზღვის ძღვენია, ჰერმესისა – სკიპტრა, აპოლონისა – მშვილდი, არესისა – შუბი, ჰეფესტოსი – ოქროს გვირგვინი, ჰერასი – სამეფო ტახტი, ხოლო აფროდიტე თავის ასულს იმ ყელსაბამს ჩუქნის, რომელიც მას ჰეფესტომ უძღვნა ეროსის გაჩენისათვის. ამავე სიმღერაში ჩართულია მითი ჰარმონიასა და კადმოსის შვილიშვილის აქტეონის შესახებ, რომელიც ქალღმერთმა არტემისმა იმის გამო, რომ ნადირობისას მობანავეს შეასწრო თვალი, ირემად გადააქცია და საკუთარ ძაღლებს დააგლეჯინა.

ზევსს ტრფობის ახალი ობიექტი ჰყავს: დემეტრეს ასული პერსეფონე, რომლის გულის მოგებაში მას სხვა ღმერთებიც მათ შორის ჰერმესი, აპოლონი, არესი და ჰეფესტოც ეცილებიან.

მეექვსე სიმღერაში ქალიშვილის თაყვანისმცემლებით შეწუხებულ დემეტრეს ღრუბლებში გახვეული პერსეფონე დრაკონებშებმული ეტლით სიცილიაში ძიძასთან გადაჰყავს და მცველებადაც დრაკონებს მიუჩენს, მაგრამ ზევსი, გველად გადაქცეული, მაინც შეძლებს გამოქვაბულში შეპარვას და ქალწულის დამორჩილებას. მათი შეუღლების ნაყოფია პირველი დიონისე – ძაგრევსი, რომელსაც ზევსი ნებას რთავს მის ტახტზე დაჯდეს და ელვებით ითამაშოს; მაგრამ მას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. ჰერას მიერ წაქეზებული ტიტანები, ცარციით სახედაფერილნი, თავს დაესხმიან და მიუხედავად იმისა, რომ ძაგრევსი მრავალგზის იცვლის სახეს და ყრმად, მოხუცად, ლომად, ცხენად, გველად ვეფხვად გარდაისახება, ტიტანები სწორედ მაშინ აკუნავენ მას დანით, როცა ის ხარის სახეს მიიღებს. განრისხებული ზევსი ტიტანებს ტარტაროსში ჩაყრის, ხოლო დედამიწას წარღვნას მოუვლენს, წარღვნაში მოხვდება დევკალიონიც. წყლის სტიქიის მძვინვარება კაცთა მოდგმას სრულიად გაანადგურებდა, პოსეიდონს რომ თესალიაში კლდე

არ გაეპო და წყალი მასში არ ჩანრეტილიყო. ამის შემდეგ ჰელიოსმა დედამინა გააშრო და ბუნებამაც გაიღვიძა.

მეშვიდე სიმღერა: თუმცა დედამინაზე სიცოცხლე განახლდა, მაგრამ ადამიანებს სიხარული აკლიათ, იგი თვით ქორწილების დროსაც კი არ იგრძნობა. აიონი ევედრება ზევსს უბოძოს ხალხს სიხარული. ოლიმპოსის ღმერთთა მბრძანებელი პასუხად მიუგებს, რომ სამყარო მანამდე იქნება მოწყენილი, ვიდრე მისი ვაჟი არ დაიბადება, ვისთვისაც ის დედაც იქნება და მამაც. ეროსს ისრებიანი კაპარჭი მოაქვს ზევსის თორმეტი სატრფოსათვის და მეხუთე ისარს კადმოსის და ჰარმონიას ასულს – სემელეს ესვრის, ხოლო ზევსს ეროსის ისარი მაშინ მოხვდება, როცა ის მდინარე ასოპოსში მობანავე სემელეს იხილავს. ღმერთი არნივად გადაიქცევა, რათა ზემოდან ქალწულის სილამაზე სრულად იხილოს. დაღამდება თუ არა, იგი თებეში მიდის და სასახლეშიც აღწევს სემელესთან. სემელესთან სასიყვარულო ურთიერთობისას კრონიონი ხან ხარისთვისანი ადამიანის სახეს იღებს, ხან ლომის, ხან ჯიქის და ხანაც გველისა. სემელეს სარეცელი ვაზითა და ყვავილებით იფარება. ზევსი სატრფოს თავის ვინაობას უმხელს და ღმრთებრივი ვაჟის დაბადებასა და უკვდავებას უნინასწარმეტყველებს.

მერვე სიმღერა. ორსული სემელე მთელი გულით ხარობს და მასთან ერთად ხარობს მის წიაღში ჩასახული ჩვილიც. შურის ღმერთი ფთონოსი არესის სახით ეცხადება ათენასა და ჰერას და ზევსის უკანონო ქორწინებათა გამო აღშფოთებას გამოხატავს. ჰერა სემელეს დასჯას გადაწყვეტს და შეშლილობისა და სიცრუის ქალღმერთ აპატეს იმ სარტყელს გამოართმევს, რომლითაც ოდესღაც რეამ კრონოსი მოატყუა. ზევსის კანონიერ მეუღლეს ეშინია, რომ სემელე, რომელთანაც ზევსი ორჯერ მივიდა, რაც მანამდე არცერთ სატრფოსთან არ ჩაუდენია, ოლიმპოსამდე აღზევდება და მის ადგილს დაიჭერს. ჯადოსნური

სარტყელის წყალობით იგი სემელეს ძიძის სახეს მიიღებს და ურჩევს, რომ სთხოვოს მას, ვინც ქალწულობა დააკარგვინა, იმის დასამტკიცებლად რომ მართლაც ღმერთია, თავისი ნამდვილი სახით ეჩვენოს. მოტყუებული სემელეც ევედრება ზევსს, რომ მთელი თავის აღჭურვილობით წარუდგეს, რათა ყველა დაარწმუნოს, სინამდვილეში ვინაა მისი სატრფო. ოლიმპოსის მბრძანებელიც, თუმცა ხვდება ვინ და რა მიზნით შთააგონა სემელეს ეს თხოვნა, იძულებულია შეუსრულოს. მეხის მტყორცნელისა და ელვათა მპყრობელი ღმერთის გამოჩენა თებეში ხანძარს იწვევს. გახარებული სემელე თავს იწონებს დების წინაშე და ხელებს ელვებისკენ იწვდის, რომელნიც მას ფერფლად აქცევენ. ზევსის დავალებით ჰერმესი ცეცხლში შობილ დიონისეს იქაურობას გაარიდებს და ზევსს მიჰგვრის. ზევსი პირობას შეასრულებს და უკვდავებამინიჭებულ სემელეს ოლიმპოსზე დაასახლებს.

მეცხრე სიმღერა. ნაადრევად შობილ ჩვილს ზევსი თავის თეძოში მოათავსებს, საიდანაც იგი მეორედ იშვება. ჰერმესი ახალშობილს ლამოსის ქალიშვილებს – მდინარის ნიმფებს მიუყვანს; მაგრამ განრისხებული ჰერა მათ სიგიჟეს მოუვლენს და ჰერმესიც იძულებულია ყრმა აღსაზრდელად დეიდას, კადმოსის ქალიშვილს – ინოს ჩააბაროს. ინო დისშვილს თავის ვაჟთან, მელიკერტესთან ერთად ზრდის, მაგრამ ჰერას რისხვა არ ცხრება; იგი სტიქსის წყალზე დაიფიცებს, რომ ინოს დაღუპავს. ჰერმესი ამჯერადაც გადაარჩენს ჩვილ დიონისეს და იგი რეასთან მიჰყავს. აქვეა მოთხრობილი ჯერ კიდევ ყმანვილი ღმერთის ისეთ უჩვეულო საქმეთა შესახებ, როგორიცაა ლომებისა და ჯიქების ცოცხლად შეპყრობა და ეტლში შებმა და დათვების დამორჩილება.

სიგიჟეშეყრილი ინო ყველგან დიონისეს დაეძებს. აპოლონის ნებით იგი ოთხ წელს დაჰყოფს ტყეში და ბაკქურ ცეკვებს სწავლობს. კილიკიელი ბაკქი ქალები მას სიგიჟისაგან კურნავენ. დაკარგავს რა

ცოლის პოვნის იმედს, მისი მეუღლე ათამასი ცოლად ირთავს თემისტოს, რომელიც ორჯერ უშობს ტყუპებს, მაგრამ ორივეჯერ თვითონვე დახოცავს.

მეათე სიმღერა. სიგიჟე შეიპყრობს ათამასსაც; იგი ცხვრებს ხოცავს, რომელნიც ადამიანებად ეჩვენება. ბოლოს ისრით მოკლავს თავის ვაჟს ლეარქოსსაც, რადგან ირემი ჰგონია. მელიკერტესსაც მდულარე წყლით სავსე ქვაბში სვამს, მაგრამ ინო მიუსწრებს, შვილი ამოჰყავს და გარბის. ზღვისპირა კლდეზე შემდგარი ინო ნერევსს ევედრება მიიღოს იგი და ზღვაში ხტება, სადაც პოსეიდონი ქალღმერთ ლევკოთეად გადააქცევს.

ამასობაში დიონისე ფრიგიაში რეასთან იზრდება. გაიცნობს ამპელოსს, რომლის სილამაზეც აღაფრთოვანებს და ჭაბუკები განუყრელნი ხდებიან. ისინი ერთად სეირნობენ, ნადირობენ, ჭიდაობენ, ერთმანეთს შეჯიბრში იწვევენ, რომლის დროსაც დიონისე გამარჯვებას ამპელოსს უთმობს.

მეთერთმეტე სიმღერაში ამპელოსის სიკვდილზეა მოთხრობილი. დიონისეს მსგავსად მასაც იტაცებს გარეულ ცხოველთა მოთვინიერება. ერთხელაც, ატეს რჩევით, მან ხარის მოთვინიერება გადაწყვიტა. იგი ჯერ ყვავილებით შეამკო, რქები მდინარის ოქროს ქვიშით დაუფერა, მაგრამ როცა მასზე ამხედრდა, მისი დამორჩილება ვერ შეძლო. ხარმა იგი ჩამოაგდო და რქებით დაგლიჯა. ბაკქოსის მწუხარებას საზღვარი არა აქვს.

მეთორმეტე სიმღერა. მგლოვიარე დიონისეს მოირა ატროპოსი ანუგეშებს, რომ თუმცა ამპელოსი მოკვდა, მაინც ცოცხალია. მართლაც, დიონისე თავისი თვალთ იხილავს სასწაულს: მკვდარი ამპელოსი ვაზად გადაიქცევა. ბაკქოსი პირველად აყენებს ღვინოს; სასმელსაც სინჯავს და ნაყოფსაც და აღფრთოვანებულია იმით, რომ ყურძენი დემეტრეს ხორბლის თავთავებსაც სჯობია და ათენას ზეთისხილსაც, რადგან მის

ნვენს უსიამოვნო და მწუხარე ფიქრების განდევნა შეუძლია. ვაზის წარმოშობის შესახებ სხვა გადმოცემაც არსებობს: დიონისემ იპოვა ვაზი, რომელიც კლდეებში ოლიმპოსიდან გადმოლვრილ სითხეზე ამოიზარდა. ყურძნის მტევნების კრეფასა და დაწურვაში დიონისეს სატირები ეხმარებიან, რომელნიც შემდეგ სითხეს რქებით სვამენ და თვრებიან. არ თვრება მხოლოდ დიონისე, რადგან რეასაგან ნაბოძები ამეთვისტო იცავს.

მეცამეტე-მეთოთხმეტე სიმღერები. ზევსი რეასთან ზეფიროსის მეუღლეს – ირისს აგზავნის, რომელმაც დიონისეს მისი ნება უნდა აუნყოს, კერძოდ, მან უნდა დაამარცხოს ინდოელები და აზიაში ვენახის კულტი გაავრცელოს, რის შემდეგაც იგი ოლიმპოსზე ავა და უკვდავთა შორის დამკვიდრდება.

ამ სიმღერაში ნონოსი ისევ მიმართავს მუზებს და ამჯერად შემწეობას ინდოეთში საბრძოლოდ მიმავალ დიონისეს მომხრეთა ჩამოთვლაში სთხოვს, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია. როგორც ვხედავთ, აქედან იწყება იმ ამბის თხრობა, რომელიც პოეტმა შესავალში თავისი ნაწარმოების ძირითად თემად დაასახელა: ზევსის ნების აღსასრულებლად დიონისეს გალაშქრება ინდოეთზე. თავად დიონისე, რომელსაც თან მისი აღმზრდელი ბაკქი ქალებიც ახლავს, ბრძოლაში შეუიარაღებელი მიდის, ხელში რქითა და თირსოსით. ლაშქარს თან ღვინით სავსე ჭურჭლებდაკიდებული ვირები და ჯორები მიჰყვება. ფრიგიაში ღმერთსა და მის თანმხლებთ ქვადაქცეული ნიობე ესალმება. დიონისე ფრიგიასა და ასკანიას იმ შემთხვევაში, თუ მის კულტს მიიღებენ, მშვიდობას ჰპირდება, მაგრამ ჰერა მეფე ასტრაესს არწმუნებს შეებრძოლოს დიონისეს. პოეტი პირველი ბრძოლის სურათებს აღწერს. ღმერთი ასტაკისის ტბას ღვინოდ გადააქცევს.

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე სიმღერები. ინდოელები, რომელნიც ტბას დაენაფებიან, თვრებიან და გონებას კარგავენ, ბოლოს დაღლილებს

ჩაეძინებათ და მათ ბაკქი ქალები გათოკავენ. ამ სიმღერაშია ჩართული ზემოთ ნახსენები სატრფიალო ეპილიონი არტემისის მსახურის ნიკაიას შესახებ, რომელსაც მწყემსი ჰიმნოსი ეტრფის. მისი სიყვარული იმდენად მგზნებარეა, რომ ვაჟს იმ მშვილდისა და ისრების ბედი ეხარბება, რომელთაც მხეცებზე მონადირე ქალწული ეხება. იმედგადაწურული მწყემსი ნიკაიას ნასროლი ისრით სიკვდილს ნატრობს, რასაც სატრფო მყისვე აუსრულებს. უმონყალო ქალწულისაგან მოკლულ ჭაბუკს ნაიადები, ნიობე, პანი, ფოიბოსი და არტემისი დასტირიან, ხოლო ეროსი პირობას დებს, რომ ნიკაიაზე შურს იძიებს. მართლაც მობანავე ქალწულს თვალს დიონისე შეასწრებს და მისი ტრფობით აღიგზნება. ნიკაიას მშვენიერება აუწერელია. კლდე-ღრეში ხეტიალისას იგი არტემისის მსგავსია, ხოლო საძინებელში – აფროდიტესი. ნიკაია დასცინის დიონისეს სიყვარულს და ურჩევს, თუკი მისი დამორჩილება უნდა, ჯერ ათენა და არტემისი დაიმორჩილოს, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებს, მაშინ ისრით მასაც ისე განგმირავს, როგორც ჰიმნოსი განგმირა. ასევე, მოურიდებლად ეუბნება, რომ ღმერთის შეყვარებას თუ დააპირებს, ომის ღმერთს – არესს შეიყვარებს და არა ქალივით ნაზ დიონისეს. მაგრამ ღმერთი სანადელს მაინც აისრულებს. როდესაც დასიცხული და დაღლილი ნიკაია ღვინად ქცეული ტბის წყალს დაეწაფება და ღრმად ჩაეძინება, დიონისე მძინარე ქალწულს დაეუფლება. გამოღვიძებული ნიკაიას მწუხარებას საზღვარი არა აქვს. მას აღარ შეუძლია არტემისის მსახურება და იძულებულია საყვარელი ტყე დატოვოს. მას ქალიშვილი ტელეტე შეეძინება.

მეჩვიდმეტე სიმღერა. დიონისეს ლაშქარი აგრძელებს გზას ინდოეთისაკენ. ალიბების ქვეყანაში მათ მწყემსი ბრონგოსი უმასპინძლდება. ბაკქოსი მწყემსს ღვინოს გაასინჯებს და რძის ნაცვლად მის დაღევას ურჩევს; ამასთან, ბრონგოსს ვაზის გახარებას ასწავლის და

გზას აგრძელებს. შემდეგ აღწერილია ბრძოლა, რომელსაც დიონისესა და მის ლაშქარს ორონტესი გაუმართავს. თუმცა იგი დარწმუნებულია, რომ ძირითადად ქალებისაგან შემდგარ ჯარსა და მის წინამძღოლზე, თავადაც ქალივით დიონისეზე გამარჯვებას მოიპოვებს, მაგრამ ბრძოლაში არა მხოლოდ მარცხდება, არამედ კვდება კიდევ.

მეთვრამეტე სიმღერაში მოთხრობილია სტაფილოსისა და მისი ოჯახის სტუმართმოყვარეობის შესახებ, რომლითაც ისინი ღმერთსა და მის მხლებლებს ხვდებიან. სტაფილოსი თვითონ მიემართება დიონისესთან შესახვედრად და მას შინ მიიპატიჟებს. ვიდრე მისი ვაჟი ბოტრისი ნადიმს ამზადებს, სტაფილოსი სტუმარს თავის მდიდრულ სასახლეს ათვალიერებინებს. ნადიმზე ღვინოს სვამენ, მათ შორის სტაფილოსის ცოლი მეტეც, რომელიც ღვინისაგან გამხიარულებული ცეკვას იწყებს; ცეკვავენ, აგრეთვე, სტაფილოსი, ბოტრისი და პითოსიც. დილით დიონისე ინდოეთის მეფე დერიადესთან ელჩს აგზავნის და თვითონაც გზას ადგება. ამასობაში სტაფილოსი კვდება და უკან დაბრუნებული დიონისე პითოსის დამწუხრებული სახის დანახვაზე ხვდება, რაც მოხდა.

მეცხრამეტე სიმღერა. მეუღლის დაკარგვით გამონეული მწუხარების განსაქარვებლად მეტე დიონისეს ღვინით გამასპინძლებას სთხოვს, ასევე ევედრება მას ბაკქ ქალად აქციოს. აქედან მოყოლებული სახელი მეტე საერთოდ ღვინით თრობის მნიშვნელობას იძენს, სტაფილოსი – ყურძნის მტევნის, ბოტრისი – კუფხალის, ხოლო პითოსი – ღვინის ჭურჭლის.

ამის შემდეგ დიონისე სტაფილოსის საფლავთან შეჯიბრს გამართავს, ოღონდ მის მიერ გამართული შეჯიბრი სხვებისაგან განსხვავდება, ამ შემთხვევაში ერთმანეთს სიმღერასა და ცეკვაში ეჯიბრებიან. ჯილდოებად დაწესებულია ხარი, თბა და ორი კრატერი – ერთი ოქროსი, ერთიც ვერცხლის. სიმღერაში ეაგროსი გაიმარჯვებს, ცეკვაში – მარონი;

მისი მეტოქე სილენოსი ცეკვისას ეცემა და მდინარედ გადაიქცევა. ოქროს კრატერს მარონი იღებს, ხოლო ვერცხლისას მდინარეში გადააგდებს და სილენოსს სთხოვს დამარცხების გამო არ მოიწყინოს.

მეოცე სიმღერა. დიონისე მხლებლებთან ერთად, რომელთა შორის უკვე მეთე, ბოტრისი და პითოსიცაა გზას აგრძელებს და არაბეთის ქალაქ ნისაში მივა, რომლის მეფეც არესის ვაჟი ლიკურგოსია. მას ჩვევად აქვს უცხოტომელები მამას – არესს შესწიროს. ჰერას დავალებით, რომელიც სემელეს ვაჟს მუდმივად მტრობს, ირისი დიონისეს ჰერმესის სახით წარუდგება და სთხოვს სტუმართმოყვარე ლიკურგოსის სასახლეს უიარალოდ ესტუმროს. დიონისე მართლაც ტოვებს იარაღს, ბაკქ ქალებსა და ეტლს და მეფესთან მიემართება. მარტოდ მისული და თანაც უიარალო ღმერთის დანახვაზე ლიკურგოსი ხარობს, რადგან დარწმუნებულია, რომ აუცილებლად დაამარცხებს. იგი დასცინის დიონისეს და ჰპირდება, რომ მისი მოკვეთილი თავითა და ხელებით ამიერიდან თავის სასახლეს დაამშვენებს. ლიკურგოსის მუქარას თითქოს დასტურს აძლევს ჰერას გრუხუნი, რომელიც ზეციდან ისმის. შეშინებული დიონისე გარბის და ერეთრეის ზღვას მიაშურებს, სადაც მას თეტისი მიიღებს და დაამშვიდებს.

ოცდამეერთე სიმღერა. ლიკურგოსი ტყეში დამალულ ბაკქ ქალებს ესხმის თავს. ერთი მათგანი ამბროსიე ქვას ესვრის. ლიკურგოსი ქალს შეიპყრობს, მაგრამ მას დედამინა, მისივე თხოვნით, ვაზის ლერწად აქცევს. ლერწად ქცეული ისე მჭიდროდ ეხვევა ლიკურგოსს, რომ განძრევა არ შეუძლია. ამით სარგებლობენ ბაკქი ქალები და მისი წვალებით ერთობიან. მართალია, ჰერა მახვილით დაჭრის ლერწს და ლიკურგოსს გაათავისუფლებს, მაგრამ დიონისესათვის განუული წინააღმდეგობისათვის იგი მაინც დაისჯება. ლიკურგოსს ზევსი დააბრმავებს და მანანწალად აქცევს. დიონისე თავის მხლებლებთან

ბრუნდება და მეფე დერიადესთან მაცნედ სატირს აგზავნის. დერიადესი აცხადებს, რომ არ აპირებს პატივის მიგებას დიონისესა და საერთოდ, ოლიმპიელი ღმერთებისათვის, რადგან მამამისი – ჰიდასპესი სიძლიერით იმ ცეცხლს აღემატება, რომლისგანაც დიონისე იშვა.

ოცდამეორე სიმღერა. დიონისეს ლაშქარი მდინარე ჰიდასპესს მიადგება. მის მოსვლას ბუნება ზეიმით ეგებება: ნიმფები მღერიან, წყაროებიდან რძე მოედინება, კლდეებიდან კი, – ღვინო, თაფლი და ზეითუნის ზეთი. სიხარულს გამოხატავენ მხეცებიც: ჯიქები, ლომები და დათვები ცეკვას იწყებენ. ამ განსაცვიფრებელი სურათით მოხიბლული ინდოელები ომს უკვე აღარ აპირებენ, მაგრამ საქმეში ისევ ჰერა ჩაერევა, იგი მათ ბაკქოსთან შებრძოლებისათვის აქეზებს და თანაც აფრთხილებს, რომ მდინარეთა წყალს არ დაენაფონ. ამოვა თუ არა მზე, უღრან ტყეში ჩასაფრებული ინდოელთა ჯარი თურევსის წინამძღოლობით საბრძოლველად გამოვა. მიუხედავად იმისა, რომ დიონისე მხოლოდ თირსოსითაა შეიარაღებული მაინც ამარცხებს მტერს. მისი მებრძოლებიდან სიმამაცითა და ბრძოლის ხელოვნებით ერესთევსი და ეაკოსი გამოირჩევიან, ეაკოსის მიერ ბრძოლაში დახოცილთა გვამები მდინარე ჰიდასპესს ავსებს, რომელიც დაღვრილი სისხლისაგან წითელი მოედინება.

ოცდამესამე სიმღერა. ეაკოსი ისევ მოუღელელად იბრძვის და ჰიდასპესს ახალი გვამებით ავსებს. მას დიონისეც უერთდება და უკანასკნელი ინდოელის განადგურებამდე იბრძვის. ცოცხალი მართლაც მხოლოდ მაცნე გადარჩება. მაშინ ჰერა ზეციდან ჩამოდის იმ მიზნით, რომ დიონისეს ჰიდასპესი აუშხედროს და ისიც, როცა მასზე ბაკქი ქალები და სატირები გაბერილი ტიკებით გადადიან, მათ ჩასაძირად ღელვას იწყებს. თავანწყვეტილი მდინარე აღარც ზევსის განრისხებას უფრთხის და აღარც მის ელვებს, რომლითაც დიონისე აშინებს და კიდევ უფრო მეტად

აზვირთდება. ბაკე ქალებს აღელვებულ მდინარეში ჩახრჩობა ელოდებოდათ, დიონისეს არ ეხსნა ისინი: მან მდინარეში ცხელი ნართეკი გადააგდო და ცეცხლი წაუკიდა. ჰიდრიადები (ხის ნიმფები) და ნაიადები იძულებულნი გახდნენ, სხვა მდინარეებისათვის შეეფარებინათ თავი. შვილის ბედით შენუხებული, ჰიდასპესის მამა ოკეანოსი, იმუქრება, რომ სანაცვლოდ მნათობებსა და თანავარსკვლავედებს ჩაძირავს.

ოცდამეოთხე სიმღერა. ოკეანოსის მრისხანებას ზევსი დააცხრობს, მაგრამ სიმშვიდისაკენ იგი თავის ვაჟსაც მოუწოდებს. ჰიდასპესი დიონისეს სთხოვს შეიწყალოს და ისიც ინებებს ცეცხლი ჩააქროს. დაინახავს რა, რომ დერიადესი დიონიასეს საბრძოლოდ განმზადებული ელოდება, ზევსი შვილის დასახმარებლად ზეციდან ჩამოდის, მას სხვა ღმერთებიც მოჰყვებიან, რომელთაც იგი არწივის სახით მოუძღვის. თურევსი დერიადესთან მიდის და უყვება როგორი ზეიმით შეეგება ბუნება ვენახისა და ღვინის ღმერთს და ამის მხილველმა ინდოელმა მხედრებმა მხნეობა როგორ დაკარგეს და დიონისეს თირსოსით დაილუპნენ. თურევსი დარწმუნებულია, რომ მათ წინააღმდეგ ჭეშმარიტად ღმერთი იბრძოდა. ინდოელები მდინარესთან გამართულ ბრძოლებში დაღუპულ მეომრებს გლოვობენ. გამარჯვებული დიონისე კი სატირებთან ერთად ილხენს; ნადიმზე ლესბიოსი ტიტანების ბრძოლაზე მღერის, ხოლო ლაპეთოსი ათენასა და აფროდიტეს შეჯიბრზე, სახელდობრ, აფროდიტემ ხელსაქმის შესწავლა გადაწყვიტა და პეპლოსის ქსოვას შეუდგა, მაგრამ გაუჭირდა და ქარიტები ეხმარებოდნენ. ათენამ ღმერთებთან წყენა გამოხატა იმის გამო, რომ სიყვარულის ქალღმერთმა ხელობის წართმევა დაუპირა. ოლიმპოსელები ქალღმერთის ნახელავის სანახავად გაეშურნენ. რადგან ჰერმესმა მოურიდებლად დასცინა, აფროდიტემ დაუმთავრებელი პეპლოსი მიაგდო და კვიპროსზე განმარტოვდა.

ოცდამეხუთე სიმღერის დასაწყისში მუზებისადმი მიმართვა მეორდება. მართალია, ნონოსი არ მალავს, რომ ჰომეროსსა და პინდაროსს ბაძავს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ დიონისეს ბრძოლა ინდოეთთან ბევრად უფრო დიდებულია, ვიდრე პანელინური ლაშქრისა ტროას ასაღებად.

ამის შემდეგ იწყება დიონისეს შედარება სხვა მითოსურ გმირებთან მისი უპირატესობის წარმოჩენის მიზნით. მაგალითად, პერსევსმა ურჩხული მედუზას თავის დახმარებით დაამარცხა, ხოლო დიონისემ ასხელა გიგანტებს ბრძოლა მხოლოდ თირსოსით მოუგო. მინოსს მეგარის დაპყრობაში აფროდიტე დაეხმარა, დიონისეს კი ინდოელებთან ბრძოლისას სიყვარულის ქალღმერთის დახმარება არ დასჭირვებია.

სათითაოდაა შედარებული ჰერაკლეს საგმირო საქმენი დიონისეს გამარჯვებებთან და პოეტი ამჯერადაც ღმერთის უპირატესობას წარმოაჩენს. მაგალითად, თუ ჰერაკლეს ლომის და ტახის დამარცხება საგმირო საქმეებად ეთვლება, დიონისე მათ ჯერ კიდევ ყრმობაში ამარცხებდა. გაოცებასა და აღფრთოვანებას არც ჰერაკლეს მიერ ლერნეს ჰიდრაზე მოპოვებული გამარჯვება იწვევს, რადგან დიონისეს გველები გარს დაბადებიდანვე ეხვეოდნენ, ხოლო რაც ირემსა და კრეტის ხარს შეეხება, მათ დამორჩილებას არა თუ თავად დიონისე, არამედ მისი მიმდევარი ნებისმიერი ბაკეი ქალი შეძლებდა, და ბოლოს, ჰერაკლეს მიერ ცხოველებთან მოგებული ორთაბრძოლების შედარება დიონისეს მიერ ორონტესსა და დერიადესზე მოპოვებულ გამარჯვებასთან საერთოდ არ შეიძლება.

ნონოსი შეგნებულად არიდებს თავს დიონისეს აქილევსთან, ხოლო დერიადესის ჰექტორთან შედარებას და მუზებს ისევ ინდოელებთან ბრძოლის აღწერისას შემწეობისაკენ მოუწოდებს.

ისევე როგორც ტროელები, ინდოელებიც ქალაქში არიან ჩაკეტილები და გალავნით დაცულნი. რეას დესპანი ატისი, რომელსაც დიონისესათვის ჰეფესტოსაგან გამოგზავნილი იარაღი მოაქვს, მას უმოქმედობას საყვედურობს და აგულიანებს, რომ ღმრთისგან დამზადებული იარაღით დერიადესთან ბრძოლა არ გაუჭირდება. პოეტი აქვე იძლევა აღწერილობას დიონისეს ფარისა, რომელიც მას ჰეფესტომ გამოუჭედა. ფარის შუაგულში დედამინა იყო გამოსახული, ხოლო მის გარეშემო მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ფარს ამკობდა, აგრეთვე, მითოსიდან აღებული სიუჟეტები: თებეს მშენებლობა ძეთოსისა და ამფიონის მიერ, ზევსის მიერ განიმედესის მოტაცება, მნდეგანიმედესი, რომელიც ღვინოს უსხამს ოლიმპოსზე შეკრებილ ღმერთებს, კიბელე, რომელიც კრონოსს გადასაყლაპად ჩვილი ზევსის ნაცვლად ქვას აძლევს. ფარის სილამაზით ყველა აღტაცებული დარჩა.

ოცდამეექვსე სიმღერა. დერიადესი მომავალი ბრძოლისათვის ლაშქრის შეგროვებას იწყებს, რაც ნონოსს საშუალებას აძლევს ინდოეთის მეფის მოკავშირეთა კატალოგის გადმოცემისა. მკითხველი აქვე იგებს დერიადესის წარმომავლობას. იგი ჰიდასპესისა და ჰელიოსისა და კეტოს ასულის ასტრისის ძეა.

ოცდამეშვიდე სიმღერა. დედამინა, რომელსაც ზევსი სისხლის ნვიმებით რწყავს, წითლდება; რაც ინდოელთა დამარცხებაზე მიანიშნებს. დერიადესი ამას ვერ ხვდება და პირიქით, გამარჯვების იმედი აქვს, რადგან მისი პაპა-ჰელიოსი ცეცხლის სტიქიას მართავს, ხოლო მამა იჰიდასპესი – წყალს. დიონისემ თავისი ჯარი, ოთხად გაყო, ერთი ნაწილი ზღვასთან დააბანაკა, ხოლო სამი – ინდოეთის დიდ მდინარეებთან: ჰიდასპესთან, ინდთან და განგთან. ბრძოლისათვის ემზადებიან ოლიმპოსზეც. მნდე ისევ განიმედესია; ღმერთები მის მიერ დასხმულ ნექტარს მიირთმევენ. ზევსი აპოლონს, ათენასა და ჰეფესტოს

დაარწმუნებს, რომ დიონისეს მხარეზე იბრძოლონ; ჰერა, ჰიდასპესი, დემეტრე და არესი კი, ბრძოლაში დერიადესს მიეშველებიან.

ოცდამეგრე და ოცხდამეცხრე სიმღერებში ბრძოლის სურათებია აღწერილი. მელანეოსი მშვილდს მოზიდავს და დიონისეს დაუმიზნებს, მაგრამ გასროლილ ისარს მიმართულებას ზევსი შეუცვლის და იგი ჰიმენეოსს ხვდება თედოში, რომელიც მანამდე მამაცურად ებრძოდა ინდოელებს. დაჭრილ ჰიმენეოსს დიონისე პატრონობს, იგი ბრძოლის ველიდან გაჰყავს და სუროთი და ღვინით კურნავს. განკურნებული ჰიმენეოსსი ბრძოლის ველს უბრუნდება.

ბრძოლაში სიმამაცით მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან ბაკქი ქალებიც: ევპეტალე, ტერფსიქორე, ტრიგიე, კალიკე და ოინოე. დაჭრილებს დიონისე კურნავს და ისევ ბრძოლაში ერთვება. მისი საომარი ყიჟინა სიმძლავრით ათი ათასი მეომრის შეერთებულ ყიჟინას არ ჩამოუვარდება და თავზარს სცემს ინდოელებს. ისინი შეშინებულნი გარბიან და ჰიდასპესის ტალღებში ინთქმებიან. გაამაყებული დიონისე ორთაბრძოლაში ჰიდასპესს იწვევს. ბრძოლის ველს რომ გააცილოს, რეა არესს ჩვენებას უგზავნის და ურჩევს აფროდიტეს მიხედოს, რომელიც ისევ ჰეფესტოსს დაუბრუნდა.

ოცდამეათე სიმღერა. არესმა ბრძოლა მიატოვა და აფროდიტესა და ჰეფესტოზე შურის საძიებლად გაემართა. დერიადესის მოკავშირე მორევსი გაოცებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ დიონისეს ლაშქარი წარმატებას მხოლოდ თირსოსით აღწევს. იგი დაჭრის კაბირ ევრიმედონს და ძმის მისაშველებლად მისულ ალკონსაც უტევს, მაგრამ ევრიმედონი შემწეობას ჰეფესტოსს სთხოვს, რომელიც ზეციდან ცეცხლს აგდებს. მორევსს უცილობელი დაწვისაგან ადამიანის სახემილებული ჰიდასპესი იხსნის და მას ღრუბელით ფარავს. ამასობაში ჰეფესტოსს თავისი ვაჟი ბრძოლის ველიდან გაჰყავს, ხოლო მორევსი ბრძოლას გააგრძელებს და

დიონისეს მრავალ მეომარს, მათ შორის პანტომიმის მოცეკვავე ფლოტიოსსა და ბაკქ ქალებს კლავს.

დიონისეს ჰერასაგან ბოძებული ძალით აღჭურვილ დერიადესთან ორთაბრძოლაში ჩაბმისა ეშინია, ამიტომ ბრძოლის ველიდან გასული თავს ტყვეს აფარებს, მაგრამ მას ათენა, რომელიც თავის ვაჟს ზევსმა მიუგზავნა, ამხნევებს და ბრძოლაში დაბრუნებისაკენ მოუწოდებს. ზევსის მფარველობით გულმოცემული დიონისე ინდოელ მეომრებს დაერევა და უმოწყალოდ ხოცავს. ინდოელები იძულებულნი ხდებიან ბრძოლა შეწყვიტონ.

ოცდამეთერთმეტე სიმღერა. ბრძოლის ბედის ინდოელებისათვის სასიკეთოდ შემოსაბრუნებლად ჰერა მზაკვრულ ხერხს მიმართავს. იგი პერსეფონესთან მიდის და დიონისეზე შურის საძიებლად აღძრავს, კერძოდ, შეახსენებს, რომ ზევსმა სემელე ზეცაში დაამკვიდრა, ხოლო იგი ჰადესში საცხოვრებლად გასწირა; ამასთან, მისგან ნაშობი ძაგრევის დაღუპა, ხოლო სემელესაგან ნაშობ დიონისეს მფარველობას არ აკლებს. ჰერა მიზანს მიაღწევს და შურისსაძიებლად აღძრული პერსეფონე დიონისეს ერინიებიდან ერთ-ერთს – მეგერას გააყოლებს. ბრძოლაში დაღუპული ინდოელების ხილვა მეგერას რისხვით აღანთებს. იგი უშველებელი გველის სახეს მიიღებს და კავკასიის კლდეში დაიდებს ბინას.

ჰერა მიღწეულით არ კმაყოფილდება და ამჯერად ირისს სთხოვს ჰიპნოსთან ნიქტოსის სახით მივიდეს და ცოლად ჰასიფაეს დაჰპირდეს, თუკი იგი ზევსის დაძინებას შეძლებს. ჰიპნოსი თანახმაა დანაპირების ხათრით ზევსი თუნდაც სამი დღით დააძინოს.

ჰერა მაინც არ ცხრება და ახლა უკვე აფროდიტეს ეძებს, რომელსაც ლიბანში იპოვის. ჰერა სიყვარულის ქალღმერთს თავის შიშს გაუზიარებს იმის თაობაზე, რომ ადვილი შესაძლებელია, დიონისემ ვაზი

ოლიმპოსზეც გაახაროს და მთვრალი ღმერთები კორიბანტებს დაამსგავსოს. ეს რომ არ მოხდეს, იგი აფროდიტეს ერთი ლამით თავის სარტყელს სთხოვს; მას იმედი აქვს, რომ მისი საშუალებით ზევსს ტრფიალებისთვის აღძრავს და დააძინებს, ხოლო თვითონ ინდოელებს დაეხმარება.

ოცდამეთორმეტე სიმღერა. თმადავარცხნილი, ძვირფასი ქვების გვირგვინით შემკობილი და იმ კაბით შემოსილი რომლითაც ზევსი პირველად მოხიბლა და აფროდიტეს სარტყელით დამშვენებული ჰერა მიზანს მიაღწევს. მისით მოხიბლული ოლიმპოსის მბრძანებელი აღიარებს, რომ ასეთი მძაფრი სიყვარული არავის მიმართ განუცდია. მეუღლეებს ოქროს ღრუბელი ფარავს. ზევსი იძინებს.

ჰერას მოქმედებისათვის ხელ-ფეხი ეხსნება. მის მიერ წაქეზებული ერინია, ხან ლომისა და ხან გველის სახემიღებელი, დიონისეს სიგიჟეს მოუვლენს. მეგერასაგან გაგზავნილი საშინელი მოჩვენებებით გონდაკარგული დიონისე ნაიადებს დასდევს და ცხოველებს ხოცავს. შეშინებული ბაკქი ქალები და ნაიადები შეშლილ ღმერთს ემალებიან.

დერიადესი შეტევაზე გადადის, ბრძოლაში ებმება არესიც, რომელიც ისეთ საომარ ყიჟინას დასცემს, რომლის გამოცემაც მხოლოდ ერთად აღებულ ათიათას მეომარს შეუძლია.

ნონოსი ჰომეროსის მუზებს მიმართავს და დერიადესის მიერ მოკლული მეომრებს ჩამოთვლაში დახმარებას სთხოვს. დიონისეს ლაშქარი ბრძოლის ველიდან გარბის.

ოცდამეცამეტე, ოცდამეთოთხმეტე, ოცდამეთხუთმეტე სიმღერები. დიონისეს ქალიშვილი ქარიტი პასიფაე აფროდიტეს სთხოვს მამამისს დაეხმაროს. აფროდიტე ქარიტ აგლაიეს ეროსის მოძებნას დაავალებს. აგლაიე მას განიმედესთან კოტაბის თამაშში გართულს იპოვის და შეატყობინებს, რომ აფროდიტე უხმობს. ეროსი დედასთან მიდის.

ქალღმერთი შვილს კალთაში ჩაისვამს და დაავალებს, რომ ინდოელი გმირის, მორევსის გული ბაკქი ქალის – ქალკომედესადმი ტრფობით ალაგზნოს, რისთვისაც ჯილდოდ ჰეფესტოს გვირგვინს მიიღებს. ეროსი მართლაც სტყორცნის ისარს მორევსს, რის შედეგადაც მას ქალკომედესადმი თავდავინყებულ სიყვარული შეიპყრობს. სიყვარულისაგან გონდაკარგული იმისთვისაც კი მზადაა, რომ თავის მეფეს უღალატოს და დიონისეს მხარეზე იბძროლოს. აღმოჩნდება, რომ ომის ღმერთს არესს ძალა არ შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს აფროდიტესა და ეროსს და მორევსს, რომლის დამარცხებაც დიონისემ ვერ შეძლო, სიყვარული ამარცხებს. ქალწულ ქალკომედეს მისი სიყვარული აშინებს. იგი ზღვის ნაპირთან მიდის და ის ქალწულები ახსენდება, რომელთაც სატრფიალო ვნების დამორჩილებას ზღვაში თავის დახრჩობა ამჯობინებს. ქალკომედეს ზღვის ქალღმერთი თეტიისი ამშვიდებს და ჰპირდება, რომ თუ მორევსს თავს ტრფობით ანთებულად მოაჩვენებს, მისი ვნებისაგან გველი დაიფარავს.

ბრძოლის განახლებისას მორევსი ტყვედ თერთმეტ ბაკქ ქალს ჩაიგდებს, თავის მეუღლეს, დერიადესის ასულს, ხეირობიეს მიართმევს და იმედოვნებს, რომ მალე, მათ მსგავსად, ქალკომედესაც დაატყვევებს. ქალკომედე მორევსს ქვას ესვრის, რომელიც მის ფარზე გამოსახულ ხეირობიეს მოხვდება და გარბის. მორევსი გამოეკიდება და ეუბნება, რომ მზადაა დიონისეს მსახური გახდეს.

დერიადესს ტყვედ ჩავარდნილი ბაკქი ქალების ერთი ნაწილი ქალაქში მიჰყავს, სადაც ისინი დიონისეს დაივინყებენ და ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგებიან, ხოლო დანარჩენები ქვეყნის ოთხივე მხარეს გაიფანტებიან.

ინდოელი ქალები, მათ შორის დერიადესის მეუღლე ორსიბოე და ქალიშვილები – პროტონოე და ხეირობიე დაღუპული ახლობლებისათვის

შურის საძიებლად იარაღს იხსამენ და ბრძოლაში ერთვებიან. ამასობაში ქალკომედე მორევს, რომელიც დაედევნება, ეუბნება, რომ თუ იარაღს აიხსნის, მზადაა სიყვარულზე სიყვარულით უპასუხოს. თავის მხრივ მორევსიც ხეირობიეს მიტოვებასა და დიონისეს მხარეზე ბრძოლას ჰპირდება. იგი იარაღს აიხსნის და საბანაოდ მიეშურება. აფროდიტე მიტოვებული იარაღს არესს უჩვენებს და დასცინის, რადგან მორევსის საქციელი ომის ღმერთის დამარცხებაზე მეტყველებს. ინდოელ გმირს ბრძოლასა და მისით მოპოვებულ პატივსა და სახელს სიყვარული ურჩევნია. მაგრამ როცა განბანილი მორევსი ქალწულის დაუფლებას ცდილობს, ამის საშუალებას, თეტიისის დაპირებისამებრ, გველები არ აძლევენ, რომელნიც გარს ეხვევიან.

ამასობაში ზევსიც გაიღვიძებს და ხვდება რა, რომ ჰერამ მოატყუა, განრისხებული სასტიკი სასჯელით ემუქრება. იგი მეუღლისაგან მოითხოვს, რომ დიონისე მისი რძით გამოკვებოს, რის შედეგადაც ბაკქოსი ოლიმპოზე დამკვიდრდება. ჰერა იძულებულია ქმრის მოთხოვნა შეასრულოს, მაგრამ დიონისეს სილამაზით მოხიბლული აღიარებს, რომ მას სიხარულით მიათხოვებდა თავის ასულს – ჰებეს, ზევსს რომ უკვე მის საქმროდ ჰერაკლე არ ჰყოლოდა შერჩეული.

სიგიჟისაგან განკურნებული დიონისე თავის ლაშქარს უბრუნდება.

ოცდამეთექვსმეტე სიმღერაში ღმერთების ორთაბრძოლებია აღწერილი. პოსეიდონი ჰელიოსს ებრძვის, ათენა-არესს, ჰეფესტო-ჰიდასპესს, ჰერა-არტემისს, ჰერმესი-ლეტოს. ათენა არესზე იმარჯვებს, ჰერა-არტემისზე. აპოლონისა და პოსეიდონის ბრძოლისას ჰადესი შიშობს, რომ მისი სამეფო წყალმა არ დაფაროს, მაგრამ მათ ბრძოლას, წარღვნა რომ არ განმეორდეს, ჰერმესი შეაჩერებს. ეს ეპიზოდი ჰერმესის მიერ წარმოთქმული სიტყვით სრულდება.

ღმერთების ორთაბრძოლას დიონისესა და დერიადესის ორთაბრძოლის აღწერა მოსდევს. დერიადესი სპილოზეა ამხედრებული, მაგრამ ბრძოლისას სპილოს ფეხები ვაზის ლერწებში ეხლართება, რომელიც სწრაფად იზრდება. მიუხედავად ამისა, დერიადესი ბრძოლაზე ხელს არ იღებს, მაგრამ იგი მაინც წყდება ლამის ჩამოდგომის გამო.

რადამანები (კრეტული ტომი) ხომალდებს აგებენ და დიონისეს გაახსენდება, რა უნინასწარმეტყველა რეამ, კერძოდ, უთხრა, რომ მისი ლაშქრობა ინდოეთის დასაპყრობად ზღვაზე გამართული ბრძოლით დამთავრდებოდა.

ოცდამეჩვიდმეტე სიმღერაში დიონისეს დაღუპული თანამებრძოლის ოფელტესის დამარხვა და მის პატივსაცემად გამართული თამაშებია აღწერილი. ერთმანეთს ეჯიბრებიან სირბილში, მუშტიკრივში, ჭიდაობაში, დისკოს სროლაში, მშვილდოსნობაში, იარაღით ბრძოლაში.

ოცდამეთვრამეტე სიმღერა. ომის მეშვიდე წელს დიონისეს ნიშნით მოახლოებულ გამარჯვებაზე ეუწყება; არწივს კლანჭებში რქიანი გველი ჰყავს მოქცეული, რომელსაც ჰიდასპესში აგდებს. მისანი ედმონი განმარტავს, რომ ნიშანი დიონისეს გამარჯვებას მოასწავებს. მის სიტყვებს ჰერმესიც ადასტურებს, რომელსაც დიონისე სთხოვს ფაეთონზე მოუთხროს. ფაეთონი ჰელიოსის ვაჟია, რომელიც მას კლიმენესაგან შეეძინა. ერთხელ, როცაყრმას ოკეანოსი ეთამაშებოდა, ჰაერში ააგდებდა და იჭერდა, ერთ-ერთი აგდებისას ხელიდან გაუსხლტა და ველარ დაიჭირა. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ ფაეთონს დიდხანს სიცოცხლე არ ეწერა. ერთხელ მან მამას მისი ცხენების ეტლში შებმის ნებართვა სთხოვა. თავდაპირველად ჰელიოსმა უარი უთხრა, თუმცა ფაეთონმა სურვილი მაინც შეისრულა, მაგრამ ცაზე მოგზაურობისას გზას ასცდა და იგი ზევსმა ელვით განგმირა. სიკვდილის შემდეგ ფაეთონი თანავარსკვლავედად იქცა.

ოცდამეცხრამეტე-მეორმოცე სიმღერები. რადამანთა ხომალდები ლიკოსის მეთაურობით მზად არიან ბრძოლის დასაწყებად. თავის მხრივ, სამხედრო გემების მომზადებას დერიადესიც ბრძანებს. ბრძოლისას ფლოგიოსი დიონისეს ისარს ესვრის, ხოლო დერიადესი – შუბს, მაგრამ ბაკქოსს ორივე ასცდება და თევზებს ხვდება. კაბირი ევრიმედონი ინდოელთა ფლოტისაკენ ცეცხლმოკიდებულ გემს გაუშვებს და მისგან მოდებული ხანძრით მათი ყველა ხომალდი გადაინვება. გადარჩენილი ლაშქრით დერიადესი ხმელეთზე გადადის. მორევსის სახემიღებული ათენა დერიადესისაგან ბრძოლის გაგრძელებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მეფეს მისი ქალიშვილის ხეირობიეს მიტოვებით ემუქრება. დერიადესი სიძეს ეთანხმება და დიონისეს შუბს სამჯერ ესვრის, მაგრამ სამივეჯერ ააცდენს. იგი დახმარებისათვის მორევსს მოუხმობს, მაგრამ როცა დიონისეს გვედრით ათენას დაინახავს, მიხვდება, რომ ქალღმერთმა მოატყუა. იგი გარბის, გაქცეულს დიონისე უზარმაზარ ლოდს ესვრის, რომელიც მდინარე ჰიდასპესს გადაკეტავს. ღმერთი ინდოელთა მეფეს თირსოსით დაჭრის, იგი ჰიდასპესში ვარდება და იხრჩობა. ბაკქი ქალები დაღუპული მეფის გვამს შუბებით ნაწილ-ნაწილ ანაკუნებენ.

ომი ინდოეთთან დიონისეს გამარჯვებით დამთავრდა. დერიადესის მეუღლე ორსიბოე და მისი ქალიშვილები: პროტონოე და ხეირობიე ქმრებს დასტირიან, ბაკქი ქალები კი გამარჯვებას ზეიმობენ. ამის შემდეგ დაღუპულთა დამარხვა და დასაფლავებისას გამართული რიტუალებია აღწერილი. დიონისე ინდოეთს სამმართველოდ მოლეოსს ჩააბარებს, ხოლო მისი ლაშქარი ნადავლის განაწილების შემდეგ შინ ბრუნდება, გარდა კრეტელი ასტერიოსისა, რომელიც არა კრეტაზე, არამედ სკვითიაში მიდის და მდინარე ფაზისის მახლობლად დამკვიდრდება. ინდოეთის მეფეზე გამარჯვებული დიონისე ამჯერად

ვაზის გაშენებას არაბებს ასწავლის. სირიაში მის გაოცებასა და აღტაცებას კადმოსის მშობელი ქალაქი ტიროსი იწვევს, განსაკუთრებით აგენორისა და კადმოსის სასახლე მოსწონს, ტაძარში შესულს ჰერაკლე ასტროქიტონი ტიროსის დაარსების ამბავს მოუთხრობს და გამოთხოვებისას თავის ვარსკვლავიან მოსასხამს უძღვნის.

ორმოცდამეერთე სიმღერა. ლიბანში ჩასული დიონისე აფროდიტეს საქორწინო სასახლეს ეწვევა და ვაზს დარგავს. ამას მოსდევს დედამიწაზე პირველად გაშენებული ქალაქის – ბეროეს აღქწერა. იგი ქალაქთა შორის ყველაზე ძველია, რადგან ჯერ კიდევ ზევსის დაბადებამდე აშენდა. აქ გამოვიდა ნაპირზე ზღვის ქაფისაგან შობილი აფროდიტე და აქვე შვა მან თავისი ვაჟი – ეროსი. სხვა გადმოცემის თანახმად, აფროდიტემ ბეროე ადონისასაგან შვა და ჩვილს ოკეანოსი, არონი და ჰორები ზრდიდნენ. აფროდიტე შიშობს, რომ მის უმშვენიერეს ასულ ბეროეს ევროპეს ბედი არ ეწიოს. ქალღმერთი თავისი ქალიშვილის პატივსაცემად ქალაქის დაფუძნებას განიზრახავს და ჰომონიასთან მიდის, რომელიც დედამიწის, ოკეანოსისა და მდინარეების გამოსახულებებიან პეაროსს ქსოვს. ჰარმონიას ოფიონის მიერ დახატული შვიდი ნახატი აქვს, რომელთაგან ერთზე ბეროეს დაარსებაა გამოსახული, ხოლო მეორეზე – ყველა გამოგონება კაცობრიობისა, მათ შორის კადმოსის დამწერლობა და სოლონისა და კეკროფსის კანონები. აფროდიტე ეროსს დაავალებს ბეროეს სიყვარულის ისრით დაჭრას დიონისე და პოსეიდონი, რისთვისაც ჯილდოდ აპოლონის ოქროს ლირას აღუთქვამს.

ორმოცდამეორე სიმღერა. ეროსის ისრებით დაჭრილი დიონისე და პოსეიდონი ბეროესადმი ტრფიალებით აღიგზნებიან. ბაკქოსს ეს სიყვარული სულ უფრო და უფრო უძლიერდება. იგი თავისი ნამდვილი სახით წარუდგება აფროდიტეს თვალწარმტაც ქალიშვილს და თავის

გრძნობებზე ესაუბრება, თუმცა ბეროეს არაფრის მოსმენა არ სურს. თავის მხრივ ქალწულის გულის მოგებას პოსეიდონიც ცდილობს, იმის გადასაწყვეტად, ვის დარჩება ბეროე, აფროდიტე შეყვარებულ ღმერთებს ერთმანეთთან შეჯიბრებას სთავაზობს. შეჯიბრს დანარჩენი ღმერთები ლიბანი კლდიდან უყურებენ. შეჯიბრში დიონისე მარცხდება.

ორმოცდამესამე სიმღერა. დიონისეს იმედი ბეროესთან შეუღლებისა მთლად გადანურული არ აქვს, რადგან ქალწული უპირატესობას მას ანიჭებს. ამჯერად ის პოსეიდონთან ორთაბრძოლაში ჩაებმება, რომელსაც ზევსი ელვებითა და მხეთათებით წყვეტს. დამარცხებულ დიონისეს ეროსი ბეროეს სანაცვლოდ არიადნეს ავრესა და ჰალენეს სიყვარულს აღუთქვამს. ბაკქოსი რეასთან გავლით ელადაში მიდის.

ორმოცდამეოთხე სიმღერა. თებეს მეფე პენტევსი დიონისეს ქალაქის კარიბჭეებს ჩაუკეტავს, მაგრამ ისინი თავისთავად იღება. დედამისი აგავე იხსენებს როგორ დაესიზმრა პენტევსი, რომელიც ხიდან ჩამოვარდა და ლომმა თავი მოაგლიჯა, შემდეგ კადმოსს მიუტანა და ამცნო, რომ ის სინამდვილეში ლომი კი არა, მისი ქალიშვილი აგავე იყო. მისანი ტირესიპსი ურჩევს ზევსსა და ხის ნიმფებს დიონისეს და მას დაწვით ემუქრება. თავის მხრივ, დიონისე, პერსევნესა და პენტევს სთხოვს შური იძიონ სემელსა და ძაგრევსის ფამო და თებეს უგუნურ მეფეს ერინიები მიუსიოს. ერინიები აგავეს ჭკუიდან შეშლიან.

ორმოცდამეხუთე სიმღერა. ტირესიასი დიონისეს გულის მოსაგებად მსხვერპლს სწირავს. ისიცა და კადმოსიც თებეში გამეფებულ საერთო მხიარულებას იზიარებენ და ცეკვაში ებმებიან. პენტევსი პაპას ცრუ ღმერთის თაყვანისცემის გამო საყვედურობს და შემდეგ მთებში მიემართება, რათა ტყეში გაჭრილი აგავე და მისი თანმხლები ბაკქი ქალები ქალაქში დააბრუნოს. ამასთან, დიონისეს შეპყრობასა და საპყრობილეში ჩასმის ბრძანებას გასცემს. მთელი თებე ცეკვავს, სასახლე

თითქოს ცეცხლის ალშია გახვეული, პენტევსი მის ჩაქრობას ბრძანებს, მაგრამ წყალი ცეცხლს ვერაფერს აკლებს.

ორმოცდამეექვსე სიმღერა. მიუხედავად ამისა, პენტევსს დიონისეს ღმრთეებრივი წარმოშობისა მაინც არ სჯერა და ამტკიცებს, იგი არც ზევსის ძე იყო და არც რეას გაზრდილი, არამედ სემელე ცრუობდა, რისთვისაც იგი ზევსმა ელვით განგმირა. ამ დროს, დიონისე პენტევსს, რომელიც მას ვერ ცნობს, ურჩევს ქალის სამოსი გადაიცვას და ბაკქი ქალების მიერ, რომელთა შორის მისი დედა – აგავეცაა, დიონისეს პატივსაცემად გამართულ მისტერიებს უთვალთვალოს. პენტევსი მართლაც იმოსება ქალურად, ხელში თირსოსს იღებს და თებელებთან ერთად ცეკვას იწყებს. შემდეგ იგი ქალაქგარეთ, ტყეში მიემართება და დიონისეს მიერ მისთვის მოდრეკილ ხის კენწეროზე მოექცევა, საიდანაც ყოველივეს ხედავს. მაგრამ მას აგავე შეამჩნევს, შვილი ლომად მოეჩვენება და მის ჩამოსაგდებად ბაკქ ქალებთან ერთად ხეს არხევს. გონს მოგებული პენტევსი დედას შებრალებას სთხოვს, მაგრამ სიგიჟეშეყრილი ისიც სხვებთან ერთად მონაწილეობს მის ნაწილ-ნაწილ დაგლეჯაში. იგი შვილის თავს იღებს და კადმოსის წინაშე ამაყობს, რომ ლომი მოკლა. კადმოსი წუხს, რომ ყველა შვილიშვილი დაელუბა და მარტო დარჩა. დიონისე აგავეს გონებას უბრუნებს, მაგრამ გამოფხიზლებით თავზარდაცემულს ურჩევნია შეშლილად დარჩეს, რათა ამ გზით დაივიწყოს ის, რაც ჩაიდინა. პენტევსის დამარხვის შემდეგ დიონისე კადმოსის ქალიშვილებს – ავტონოესა და აგავეს ღვინით დააძინებს, კადმოსსა და ჰარმონიას კი ილირიაში უშვებს, სადაც ისინი გველებად გარდაისახებენ, ხოლო თვითონ ათენში მიდის.

ორმოცდამეშვიდე სიმღერა. ათენელებმა ჯერ კიდევ არ იციან ღვინის გემო. დიონისე თავის მასპინძელს იკარიოსს, რომლის ქალიშვილი ერიგონე მას რძეს მიაართმევს, ღვინოს გაასინჯებს. აღფრთოვანებული

იკარიოსი ღვინოს გლეხებსაც გაასინჯებს. მათ სიგიჟე შეიპყრბთ და იკარიოსს მოკლავენ. გამოფხიზლებულებს დილით იკარიოსის გვამს ფარულად მარხავენ, მაგრამ მოხუცის აჩრდილი ქალიშვილს გამოეცხადება და თავის სიკვდილზე უამბობს. ერიგონეს მამის საფლავს მეთევზე აჩვენებს. ქალიშვილი ჭკუიდან იშლება და ხეზე თავს ჩამოიხრჩობს. პატრონის ერთგულ ძაღლს გოგონას გვამთან გამვლელი მიჰყავს, რომელნიც მას დამარხავენ. ძაღლი არც დამარხვის შემდეგ ტოვებს პატრონს და მის საფლავთან კვდება. ზევსი სამივეს – იკარიოსს, ერიგონესა და ძაღლს ზეცაში დაამკვიდრებს. ნაქსოსში ჩასული დიონისე მძინარე არიადნეს იხილავს და მოიხიბლება. იგი თანმხლებს ბაკქ ქალებს სთხოვს არ იხმაურონ, რომ მძინარე ქალღმერთი არ გაადვიდონ. გაღვიძებული არიადნე ხომალდს ეძებს, მაგრამ იგი უკვე ზღვაშია გასული და ამიტომ ბორეასს მის უკან დაბრუნებას სთხოვს. სიზმარში მან მისი და თებევსის ქორწილი იხილა. თებევსი არსად ჩანს, მაგრამ სამაგიეროდ არიადნეს სიყვარულს თავად ღმერთი – დიონისე უხსნის და საჩუქრად ვარსკვლავების გვირგვინსაც მიართმევს. ბაკქოსი და არიადნე ქორწინდებიან.

ამის შემდეგ დიონისე არგოსს მიაშურებს, მაგრამ არგოსელები არ მიიღებენ. სასჯელად ღმერთი არგოსელ ქალებს სიგიჟეს მიუვლენს: ისინი საკუთარ შვილებს ხოცავენ. ერთ-ერთი არგოსელი დიონისეს პერსევსს ადარებს და უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს, რადგან მან ურჩხული დაამარცხა და ანდრომედე გადაარჩინა. ჰერა პერსევსს დიონისესთან შესაბრძოლებლად წააქეზებს. ბრძოლისათვის გამზადებულ პერსევსს ფრთიანი სანდლები აცვია, ხოლო ხელში მედუზა გორგონას თავი უჭირავს და დიონისეს თირსოსდ დასცინის, რომელსაც შუბს ესვრის. იგი არიადნეს გააქვავებს. დიონისე პერსევსის მოკვლასა და არგოსისდანგრევას გადაწყვეტს, მაგრამ პერმესი შეაჩერებს და

ამცნობს, რომ თანავარსკვლავედად გადაქცეული არიადნე ადგილს ზეცაში დაიმკვიდრებს. მელამპოსი არგოსელებს მშვიდობის დასამყარებლად ზევსისა და დიონისესათვიდ მსხვერპლის შეწირვას ურჩევს. ბოლოსდაბოლოს არგოსელები ბაკქოსის ღმერთებრიობას ცნობენ და მის მობრძანებას ზეიმით აღნიშნავენ.

ორმოცდამერვე სიმღერა. როდესაც გეა ჰერასაგან დიონისეს მიერ ინდოეთის დამარცხების შესახებ შეიტყობს, ღმერთის წინააღმდეგ გიგანტებს აამხედრებს და იმ შემთხვევაში თუ ისინი დიონისეს ისევე მოკლავენ, როგორც ტიტანებმა მოკლეს ყრმა ძაგრევსი, ცოლებად ჰებეს, აფროდიტესა და არტემისს ჰპირდება. ბაკქოსი ტიტანებზე თირსოსითა და ცეცხლით გაიმარჯვებს. პალენეს მამის გადანყვეტილებით ვისაც მისი ქალიშვილის ცოლად შერთვა სურს, საცოლე ორთაბრძოლაში უნდა დაამარცხოს. დიონისე პალენესთან ორთაბრძოლაში ჩაებმება. იგი ამ ბრძოლასაც მოიგებს და საცოლეს მამასაც მოკლავს, რათა შური პალენეს დაღუპული საქმროებისთვის შური იძიოს. დიონისე და პალენე ქორწინდებიან. ქორწილის შემდეგ დიონისე მალევე მიემართება ფრიგიაში რეასთან.

ამის შემდეგ ბაკქოსის და ლომებზე მონადირე ქალწული ავრეს ამბავია მოთხრობილი. ავრემ ერთხელ ტყეში მობანავე არტემისს მოჰკრა თვალი და მის ქალურობას დასცინა. არტემისმა თავის წყენის შესახებ ნემესისს შესჩივლა, რომელმაც მას ავრეს დასჯა აღუთქვა. მართლაც მან ავრესადმი ტრფობით დიონისეს გული აღანთო. ღმერთმა მის მოსახიბლად კლდიდან ღვინის წყარო აღმოაცენა, რომელსაც მწყურვალე ავრე დაეწაფა, დათვრა და იქვე მიიძინა. მძინარე ქალწულის შესახებ დიონისეს ეროსი ამცნობს და ისიც თავის წადილს აისრულებს. გამოღვიძებული ავრე ჯერ ყველა მწყემსს დახოცავს, ხოლო როცა მიხვდება, რომ ფეხმძიმედაა, თავისთავს საჯიჯგნად ლომებს

შესთავაზებს, თუმცა ამაოდ, ლომებს დიონისესი ერიდებათ და ავრეს ახლოსაც არ ეკარებიან. მალე მას ტყუპი ვაჟი შეეძინება, რომელთაც ასევე ლომებს მიუგდებს, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ, არც ლომები და არც სხვა მ-ხეცები ბავშვებს არავითარ ვნებას არ მიაყენებენ. მაშინ ავრე ერთ-ერთ ტყუპის ცალს კლდეებზე გადააჩეხავს, მეორეს კი არტემისი იხსნის და დიონისეს მიუყვანს, რომელსაც იგი ათენში მიჰყავს, სადაც ის ელევსინის მისტერიების ღმერთად იქცევა. იაკქოსის სახელით.

პომის ფინალში დიონისე ოლიმპოსზე ადის და ადგილს ჰერმესსა და აპოლონის გვერდით იკავებს.